ახალი განათლება

2014 წელი, 26 ივნისი – 2 ივლისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№24 (658) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

CRC@25 | CONVENTION ON THE RIGHTS OF THE CHILD
SOWC2014

activate talks

როგორ გავათავისუფლოთ შშმ ბავშვები დისკრიმინაციისა და სტიგმისაგან

გვერდი 3

გაეროს ბავშვთა ფონდმა ბავშვის უფლებათა კონვენციის 25 წლის თარიღი განსხვავებული ღონისძიებით წარმოადგინა – „აქტიური საუბრები“ – საინტერესო და ინოვაციური იდეები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებების დასაცავად. საუბრები შესაძლებლობას იძლევა, თითოეულ ქვეყანაში, ისე როგორც გლობალურ დონეზე, მოხდეს მოქალაქეების ფართო სპექტრის მობილიზება და შემოღებულ იქნას აზროვნების ახალი სტილი ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომელთა მოგვარება ვერ მოხერხდა ბოლო 25 წლის განმავლობაში.

„აქტიური საუბრები“ მსოფლიოს მასშტაბით დაგეგმილი ღონისძიებების მთავარი ნაწილია. მისი მიზანია თავი მოუყაროს მოტივირებულ სპიკერებს, რომლებიც, თავის მხრივ, შეეცდებიან საზოგადოებას გაუზიარონ ის ინოვაციები, რომლებიც მნიშვნელოვანია ყველაზე დაუცველი ბავშვების წინაშე მდგარი პრობლემების მოსაგვარებლად. ქვეყანაში კი, სამწუხაროდ, ასეთი ბავშვი საკმაოდ ბევრია – 9000 შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვია რეგისტრირებული, თუმცა ეს რიცხვი შესაძლოა უფრო დიდიც იყოს, რადგანაც არსებობენ ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახებში, მათ ვერავინ ამჩნევს და ყურადღების მიღმა რჩებიან. 2012 წლის გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში მოსახლეობის 40 პროცენტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ სტიგმა აქვს.

„ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელიც 25 წლის წინ მიიღეს, არის უნივერსალური, რომელიც განსაზღვრავს მინიმალურ სტანდარტებს ნებისმიერი ბავშვისთვის და იმ მინიმალურ უფლებებს, რომელიც ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სერიოზული პროგრესი დავინახეთ უფლებებისა და სტანდარტების მიღწევის კუთხით, მაინც უამრავი ბავშვი დარჩა ამის მიღმა. საქართველოში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი დისკრიმინაციის, სტიგმის მსხვერპლია. ბევრი მათგანი მძიმე სოციალური მდგომარეობის, რელიგიური ან ეთნიკური განსხვავებულობის გამო სკოლაშიც ვერ ახერხებს სიარულს. პარლამენტის მიერ გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირებას მივესალმებით, თუმცა მთავრობას მოვუწოდებთ, რომ შშმ ბავშვთა სამი დიდი ინსტიტუცია და ჩვილ ბავშვთა სახლი დაიხუროს და მას ალტერნატიული ზრუნვის სისტემა ჩაენაცვლოს, – განაცხადა „იუნისეფის“ წარმომადგენელმა საქართველოში საშა გრაუმანმა. – *იფიქრეთ საკუთარ როლზე, რისი გაკეთება შეგიძლიათ კონკრეტულად. იფიქრეთ იმაზეც, როგორ წამოვწიოთ ერთად წინა პლანზე ამ ბავშვებზე მიმართული ინოვაციები, როგორ გავათავისუფლოთ ისინი დისკრიმინაციისა და სტიგმისაგან“.*

---

23 ივნისიდან საჯარო სკოლებში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება დაიწყო. დოკუმენტების წარდგენის ბოლო ვადა 2014 წლის 4 ივლისია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კიდევ ერთხელ მოუწოდებს პირველ კლასში დარეგისტრირებულ მოსწავლეთა მშობლებს, რომ მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენა 4 ივლისამდე უზრუნველყონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგისტრაცია გაუქმებული იქნება.

შეგახსენებთ: პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის პროცესი 2014 წლის 20 ივნისს დასრულდა. საჯარო და კერძო სკოლებში სულ 45 421 მოსწავლეა რეგისტრირებული.

ინტელექტუალური ვიქტორინა „წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“ გრძელდება. წარმოგიდგენთ საკონკურსო კითხვებს, იხ. გვერდი 2

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

IBSU

აცხადებს ვაკანსიას აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, შემდეგ დისციპლინებში:

1. **განათლების მიმართულებით** – პროფესორი (1 ადგილი);
2. **კერძო სამართლის მიმართულებით** – ასოცირებული პროფესორი (2 ადგილი);
3. **ფინანსების მიმართულებით** – ასოცირებული პროფესორი (2 ადგილი);
4. **ინფორმატიკის მიმართულებით** – ასოცირებული პროფესორი (4 ადგილი), ასისტენტ-პროფესორი (3 ადგილი), ასისტენტი (1 ადგილი);
5. **სამრეწველო ინჟინერიის მიმართულებით** – ასოცირებული პროფესორი (1 ადგილი);
6. **თურქული ფილოლოგიის მიმართულებით** – ასოცირებული პროფესორი (1 ადგილი);
7. **ამერიკისმცოდნეობის მიმართულებით** – ასოცირებული პროფესორი (2 ადგილი);
8. **განათლების მიმართულებით** – ასოცირებული პროფესორი (2 ადგილი).

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
• დოქტორის აკადემიური ხარისხი;
• პროფესორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად – სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი (მათ შორის ასოცირებულ პროფესორად მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი) გამოცდილება;
• ასოცირებული პროფესორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად – სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება;
• ასისტენტის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად – დოქტორანტის სტატუსი.

პიროვნული თვისებები:
• პასუხისმგებლობის გრძნობის მაღალი დონე;
• ადამიანებთან ურთიერთობის უნარი;
• პრეზენტაციის უნარი;
• პედაგოგიური უნარ-ჩვევები;
• ანალიტიკური, ლოგიკური აზროვნების უნარი;
• უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა B2 დონე (გარდა თურქული ფილოლოგიისა და კერძო სამართლის მიმართულებისა).

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:
• CV-რეზიუმე;
• პირადობის მოწმობის ასლი;
• განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
• დახასიათება წინა სამუშაო ადგილიდან;
• სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
• გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
• სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
• დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

დაინტერესებულმა პირებმა მითითებული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 28 ივლისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით (10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცელარიაში, მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, N2, ტელ : 2595005

ინფორმაცია

დასრულდა პროექტი „კინო სკოლაში“

საქართველოს კინოცენტრმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, პროექტი „კინო სკოლაში“ განახორციელა. პროექტი მიზნად ისახავდა მოზარდებში, კინოხელოვნების პოპულარიზაციის გზით, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნებისა და ესთეტიკური აღქმის უნარის განვითარებას.

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ, პროფესიონალ კინომცოდნეებთან ერთად, ენახათ ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით შერჩეული ფილმები, შეესწავლათ კინოსცენარის წერის თავისებურებები და თავად დაეწერათ მინი-სცენარი. პროექტი 2014 წლის 17 მარტს დაიწყო და 2013-2014 სასწავლო წლის ბოლოს დასრულდა.

პროექტში ჩართული იყო 40 სკოლა (მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, აჭარა), სადაც შექმნილი იყო კინოკლუბები. სკოლები შეირჩა მათ მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილების განხილვის შედეგად. სამიზნე ჯგუფს საჯარო სკოლების IX-XI კლასის მოსწავლეები წარმოადგენდნენ. საქართველოს 5 რეგიონის 40 სკოლაში, სამი თვის განმავლობაში, 480 კინოჩვენება გაიმართა, რომელსაც 5000-მდე მოსწავლე დაესწრო.

20 ივნისს, გორის კულტურის ცენტრში, პროექტის დახურვა გაიმართა, რომლის დროსაც:

პროექტში ჩართულ სკოლებს და მასში მონაწილე ბავშვებს სპეციალური სერტიფიკატები გადაეცათ;

გამოცხადდა ინფორმაცია პროექტის ზაფხულის სეზონის შესახებ – პროექტი განაგრძობს თავის არსებობას მოხალისეების საშუალებით;

პროექტის მიმდინარეობისას შექმნილი 3 საუკეთესო სცენარის ავტორს გადაეცა საჩუქრები;

გაიმართა ახალი ქართული ფილმის – „გრძელი ნათელი დღეების“ – ჩვენება და ფილმის შემდეგ, შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, დისკუსია.

პროექტის „კინო სკოლაში“ დასკვნით ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**, კინოცენტრის დირექტორი **ნანა ჯორჯაძე**, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და პროექტში ჩართული სკოლების მოსწავლეები.

„მხიარული სტარტების“ ფინალური შეხვედრა გაიმართა

მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სპორტისა პდა ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო და სპორტის ეროვნული ფედერაცია ახორციელებენ ერთობლივ პროექტს – „მხიარული სტარტები“.

პროექტი „სახალისო სპორტისა და ფიზიკური განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება და მასში ჩართულია სკოლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

23 ივნისს 2013-2014 წლების სეზონის ფინალური ტურნირი გაიმართა. ფინალში მონაწილეობდნენ: ჩოხატაურის №1, მარნეულის №6, წეროვნის №3 და თბილისის №26 საჯარო სკოლების გუნდები.

„მხიარული სტარტების“ მიზანია:

- ♦ სპორტულ-გამაჯანსაღებელი და შემეცნებით-გასართობი
- ♦ შეჯიბრების მეშვეობით, მოზარდ თაობაში სპორტისა და ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა;
- ♦ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;
- ♦ მოზარდი თაობის ცნობიერებაში ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- ♦ თვითრეალიზებაში დახმარება;
- ♦ მზრუნველობამოკლებული და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების თამაშებში მონაწილეობის ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების მომზადება.

ფინალური შეხვედრის გახსნას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური** და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძე** დაესწრნენ.

ვიქტორინა „წაიკითხე, უპასუხე და დასვი კითხვა“ გრძელდება

წარმოგიდგენთ შეკითხვებს გამომცემლობა „ელფის“ მიერ შემოთავაზებული წიგნიდან. როგორც უკვე იცით „ელფმა“ ალექსანდრე დიუმას „კავკასია“ შემოგვთავაზა.

მაშ ასე, კითხვები:

1. ვის შესახებ წერს ალ. დიუმა: „ყველგან ვეძებდი და ყველას ვეკითხებოდი მის ისტორიას, მაგრამ ვერაფერს წავაწყდი, გარდა გუნდოვანი გადმოცემებისა და ლერმონტოვის რამდენიმე ლექსისა, მაშინ როცა მისი ციხე-დარბაზები ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდაო“.

2. „ულამაზესნი არიან დედამიწის ზურგზე“ – წერს დიუმა ქართველ ქალებზე. კონკრეტულად რომელი კუთხის ქალბატონებმა აღაფრთოვანა მწერალი?

3. ვინ გაიცნო დიუმამ დაღესტანში, ვის შესახებაც შემდეგ წერდა: „ეს იყო ქართველი თავადიშვილის ჭეშმარიტი ტიპი: მამაცი, ქველი, გულუხვი, სტუმართმოყვარე, პოეტური სულისა და წარმოსადეგი გარეგნობის კაცი“.

4. ქართველების რომელმა ჩვევამ გააოცა დიუმა, რის შესახებაც თქვა: „საინტერესო იქნებოდა რუს და ქართველთა შეჯიბრებაო“.

5. რომელ ქართულ კერძს აღწერს და აქებს დიუმა განსაკუთრებულად?

6. კავკასიური გარეგნობის აღწერისას, ადამიანის გარეგნობიდან, რას გამოჰყოფს და მოიხსენიებს, როგორც – „არაჩვეულებრივს“?

7. რომელმა კულტურულმა სანახაობამ მოხიბლა და აღაფრთოვანა დიუმა თბილისში?

8. „ჯალათებმა ერთ ხის ტახტზე დამაწვინეს, თავქვეშ სველი ბალიში ამომიდეს და ხელ-ფეხი გამიჭიმეს. მერე სათითაოდ ხელებში მეცნენ და სახსრების მტვრევა დამიწყეს. ეს ოპერაცია მხრებიდან დაიწყო და თითების უკანასკნელი სახსრებით დამთავრდა. შემდეგ ფეხებს მიჰყვეს ხელი. ფეხებს რომ მორჩნენ, კეფაზე, ხერხემალზე და წელზე გადავიდნენ. ეს ვარჯიში, რომელსაც თითქოს სახსრების სრული მტვრევა უნდა გამოეწვია, სრულიად გუნებრივად მიმდინარეობდა და ერთგვარად სასიამოვნოც კი იყო.“ – რის შესახებ წერდა დიუმა?

9. რომელ ქალაქს გულისხმობდა დიუმა, როცა წერდა: „მე თითქმის ყველაფერი ვნახე აქ – ქართულ სამოთხეში, და მთელი ცხოვრების მანძილზე ისე ნაყოფიერად არსად მიმუშავია, როგორც ამ ქალაქში...“

10. რამდენი ხანი დაჰყო დიუმამ საქართველოს დედაქალაქში?

აქტიური საუბრები

როგორ გავათავისუფლოთ შშმ ბავშვები დისკრიმინაციისა და სტიგმისაგან

ლალი ჯელაძე

ღონისძიების წამყვანი აკაკი გოგიჩაიშვილი იყო. შვიდმა სპიკერმა, პირადი ისტორიებით, ყურადღება გაამახვილა იმ მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები აწყდებიან.

სპიკერები – **ანა არგანაშვილი**, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის"; **გიორგი დემეტრაშვილი**, ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი საქართველოში"; **ლალი ხანდოლიშვილი**, თემი „ქედელი"; **მაია შიშნიაშვილი**, ორგანიზაცია „ხელი ხელს"; **მარიამ მიქიაშვილი**, ორგანიზაცია „მარიანი"; **ლია ტაბატაძე**, კავშირი „ჩვენი ბავშვები"; **თორნიკე გურული**, საქართველოს ბანკი.

ძალიან საინტერესო იყო თითეული სპიკერის გამოსვლა და მათი გზავნილები – ყურადსაღები. რაც მთავარია, მათ მიერ წლების განმავლობაში სწორედ ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობა ძალიან კარგი გამოცდილებაა ინოვაციური იდეების მობილიზებისთვის.

„მე ვერ ვცვლი ჩემი შვილის ჯანმრთელობას, მაგრამ შემიძლია შევცვალო გარემო" – ეს ემოციური სიტყვები ღონისძიების ერთ-ერთ სპიკერს **მაია შიშნიაშვილს** ეკუთვნის. ის პროფესიით ექიმი და ჯანმრთელობის განათლების მაგისტრია. ამჟამად მუშაობს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში. ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის ხელშეწყობის განყოფილებას. მაიამ 2010 წელს დააფუძნა ინკლუზიის მხარდამჭერი ორგანიზაცია „ხელი ხელს", რომელიც ოჯახური ტიპის საცხოვრებელ მომსახურებას სთავაზობს მოზრდილი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების არსებული პრობლემატიკით მაია მას შემდეგ დაინტერესდა, რაც მის შვილს ანგელმანის სინდრომის დიაგნოზი დაუსვეს. ამჟამად ორგანიზაციის სამ სახლში ცხოვრობს ინსტიტუციებიდან გადმოსული 13 ბენეფიციარი. ორგანიზაცია ადვოკატირებას უწევს საქართველოში შშმ პირების ღირსეული საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფასა და ოჯახური ცხოვრების უფლებას.

„მას შემდეგ, რაც ჩემს შვილს დიაგნოზი – განვითარების მძიმე შეფერხება – დაუსვეს, აღმოვჩნდი სიტუაციაში, როცა აღარ ვიცოდი, როგორ გამეგრძელებინა ცხოვრება. რა იქნება მერე, როცა აღარ ვიქნები და ლევანჩო დარჩება მარტო. ხვალინდელი დღის შიში იმაშიც კი მიშლიდა ხელს, მისთვის საჭირო მომსახურება გამეწია.

ეს შიში იყო იმისა, რომ ხვალ ლევანჩო სად მოხვდება – ანუ უნდა იყოს ინსტიტუციაში იზოლირებული, სადაც მის სურვილებს არავინ გაითვალისწინებს, პატივს არავინ სცემს. როგორც წესი, ინსტიტუციებში ასეთი მიდგომაა – თუ ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონეა, მით უფრო, განვითარების შეფერხებით, მიაჩნიათ, რომ მას სურვილი და ინტერესები არ გააჩნია, შეიძლება, რომ მის ნაცვლად სხვამ იფიქროს, გადაწყვეტილებაც სხვამ მიიღოს, მან არ იცის კარგი და ცუდი. მივხვდი, რომ სწორედ ამ საკითხით უნდა დავკავდე – ვიმუშაო გარემოზე, სადაც ის გააგრძელებს ცხოვრებას, როცა გაიზრდება. მისთვის ხომ ყველაზე რთული პერიოდი სწორედ მაშინ დადგება, როცა ჩემ გარეშე მოუწევს ცხოვრება. მინდა იცხოვროს ისეთ გარემოში, სადაც მისი ინტერესები იქნება გათვალისწინებული და უფლებები დაცული. დავიწყე პერმანენტულად ფიქრი და დონორების ძებნა. ვიპოვე ყველა ის ადამიანი, რომელიც მხარში დამიდგებოდა, მაგრამ ვერ ვიპოვე სახლი, სადაც ამას განვახორციელებდი. მაგრამ ეს ის ნაწილი იყო, როცა ვერაფრით ვეღარ გადავრჩებოდი. ამიტომაც გადავწყვიტე ჩემი საკუთარი სახლი გურჯაანში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, დამეთმო ამ მომსახურებისთვის, დამეთმო იმ ხალხისთვის, ვინც პირველად დაიწყებდა ამ მომსახურებაში ცხოვრებას. ინსტიტუციებიდან მივიყვანეთ ბენეფიციარები. ძალიან ემოციური და რთული პერიოდი გავიარეთ. ინსტიტუციებში ნაცხოვრები ადამიანები სტერეოტიპების მსხვერპლი იყვნენ. სწამდათ, რომ მათ არაფრის გაკეთება შეუძლიათ. ამ დროს კი ჩვენ ვთავაზობთ, რომ აკეთონ ის, რაც სურთ. სერიოზულ პრობლემას წავაწყდით. მივხვდი, რომ ამ ადამიანებში თვითრწმენა უნდა გაგვეზარდა.

წელიწად-ნახევრის შემდეგ დავინახე, თუ როგორ შეიცვალნენ ისინი, მათ თვალებში ის ეჭვი და სიფრთხილე გაქრა, რაც თავიდან ჩვენს მიმართ ჰქონდათ. ყველა ქცევაში იგრძნობოდა თავდაჯერებულობა და ღირსების გრძნობა. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ შევძელით მათთვის შეგვექმნა გარემო, რომელიც ღირსეული ცხოვრების საფუძველი გახდებოდა.

რამდენიმე დღის წინ ვიპოვე სტატია ქალბატონზე – პაულა ევანსზე, რომელსაც ანგელმანის სინდრომით ჰყავს შვილი დაავადებული. ამ ქალმა შექმნა იმპერია – დააარსა ფონდი, რომ განკურნოს თავისი შვილი. ძალიან საინტერესო შედეგები აქვს. სამწუხაროდ, მსგავსი ვერაფერი გავაკეთე, მე ვერ გავაუმჯობესე ჩემი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამაგიეროდ, შევეცადე შემეცვალა გარემო, რათა მისი შემდგომი ცხოვრება გავაუმჯობესო."

ეკრანზე გამოჩნდა ფოტო, სადაც დედას შვილი ჰყავს ჩახუტებული. ამ ფოტოს ისტორია მაია შიშნიაშვილისთვის კიდევ ერთი ინოვაციის საწინდარი გახდა. *„მარიამი ჩვენი, საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრები ერთ-ერთი ქალის შვილია. ექვსი თვის წინ, შობის წინა ღამეს დაიბადა. პატარა მარიამი, სამშობიაროდან გამოსვლამდე, კინაღამ მეძუძურ დედას წაართვეს და სხვაგან წაიყვანეს, რადგან მიაჩნდათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მშობლები მასზე ვერ იზრუნებდნენ. ჩვენ მოვახერხეთ მარიამის მშობლებთან ახლოს დატოვება – ერთ-ერთმა თანამშრომელმა მასზე მეურვეობა აიღო. მაგრამ სათქმელი სხვა მაქვს: მარიამმა მიმახვედრა, რომ ის, რაც გავაკეთე, მხოლოდ დასაწყისია, უკვე ვიცი რა უნდა გავაკეთო ხვალ. ეს არის სახლი, რომელიც იქნება, პირველ რიგში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების დედებისთვის, მშობლებისთვის, რომელთაც საშუალება ექნებათ, თავიანთ შვილზე, მიუხედავად იმისა, ისინი ჯანმრთელები იქნებიან თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, იზრუნონ. მათ ეს შეუძლიათ ადეკვატური დახმარების პირობებში და მჯერა, რომ ჩვენ ამას შევძლებთ."*

„ადამიანის უფლებები არ ცნობს საზღვრებს და თუ უფლება სადმე ირღვევა, ჩვენ უნდა გავჩნდეთ იქ და დავიცვათ ისინი" – ასე მიმართა სპიკერმა **ანა არგანიშვილმა** საზოგადოებას. ის ადამიანის უფლებათა დამცველია და იბრძვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ბავშვთა უფლებებისათვის და გენდერული თანასწორობისათვის. ანა წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" – PHR.

ანამ და მისმა ორგანიზაციამ ჰიდროცეფალიით დაავადებული ბავშვები წამებით სიკვდილისაგან სამუდამოდ იხსნა, თუმცა, ამისთვის წლების განმავლობაში მოუწია ბრძოლა, საბოლოოდ კი მისმა პროგრამამ სახელმწიფოსგან დაფინანსება მაინც მიიღო.

განვლილი გზა მართლაც ძალიან რთული იყო. *„გამოვედი ბავშვთა სახლიდან, სადაც ვნახე ჰიდროცეფალიით დაავადებული ბავშვები, რომლებიც მშობლებმა მიატოვეს, რადგან დაარწმუნეს, რომ მალე გარდაიცვლებოდნენ. განწირული პატარები კი ელოდებიან სიკვდილს იმის გამო, რომ მათ არ უტარდებათ სიცოცხლისათვის აუცილებელი მკურნალობა – შუნტირება, რაც სიცოცხლეს გაუხანგძრლივებთ. უკვე ვიცოდი, რომ რამდენი საათი, დღე და თვე დამჭირდებოდა ამ ბავშვებისთვის საბრძოლველად, იმდენი საათი დღე და თვე აკლდებოდა მათ სიცოცხლეს. იქ იყო 12 ბავშვი, რომლებიც დაგვიანებული ქირურგიული ჩარევების გამო, უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა ტკივილებისგან, ისინი ჩვენს ბრძოლას ელოდებოდნენ. ეს იყო ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და ტვირთი, რომლისთვისაც უნდა გამეძლო. ყველაზე დიდი სიძნელე იქ დაიწყო, როცა ადამიანებს უნდა ეღიარებინათ, რომ ისინი ამ ბავშვების უფლებებს არღვევდნენ. გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ვიტყუებით, როცა ამ ბავშვების უფლებების დაცვას ვითხოვთ. და კიდევ, ჩვენ უფრო მეტად უნდა გვეზრუნა სახელმწიფოს იმიჯზე, ვიდრე ამ ბავშვების უფლებების დაცვაზე. რაც არ უნდა დამჭირვებოდა, ვიბრძოლებდი მათი უფლებების დასაცავად.*

ყველაზე დიდი აღმოჩენა, რომელმაც შეცვალა ჩემი ცხოვრება, მდგომარეობს შემდეგში: როდესაც ადამიანის უფლებების დასაცავად იბრძვით, არასოდეს არ ხართ მარტო.

დღეს შეიძლება მე აქ ვარ, თქვენ აშშ-ში, ჩვენი მეგობრები უკრაინაში, სხვები კიდევ სხვა ქვეყნებში, მაგრამ ჩვენ ყველას ერთი რამ გვაერთიანებს და ეს ადამიანის უფლებებია, რომლებიც არ ცნობს საზღვრებს და თუ სადღაც ირღვევა ეს უფლებები, ჩვენ უნდა დავდგეთ იქ და დავიცვათ ისინი. სწორედ ასე მოხდა ჩვენ შემთხვევაში. 2012 წელს ამერიკიდან იურისტები, მოსამართლეები, ექიმები ჩამოვიდნენ საქართველოში ჩვენი 12 ბავშვის უფლებების დასაცავად. მათ გააკეთეს დასკვნა, რომ არ შეიძლება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ბავშვებს ვუთხრათ უარი სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, საზოგადოებაში ინტეგრაციაზე. მათ ჩვენს ნაცვლად მიმართეს ამერიკის კონგრესს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, ჯონ კერის, მოითხოვეს მხარდაჭერა. ჩვენ შევძელით, რომ 2500-მა ადამიანმა, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან, ხელი მოაწერა პეტიციას, რომლითაც საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართა მხარდაჭერისთვის. საქართველოს სახალხო დამცველმა ეს ფაქტები და დარღვევები მიიტანა საქართველოს პარლამენტამდე. დიდი ბრიტანეთიდან ჩამოვიდა რეპორტიორთა ჯგუფი, რომელთაც რეპორტაჟი გააკეთეს ამ ფაქტებზე. და ერთ საღამოს ვიღებ ზარს ჯანდაცვის სამინისტროსგან – მეუბნებიან, რომ მინისტრმა შეიმუშავა რეგულაციები, რომლის თანახმადაც, საქართველოში ჰიდროცეფალიის ნიშნით დაბადებული ყველა ბავშვი მიიღებს აუცილებელ მკურნალობას. მივხვდი, რომ იმ თორმეტი ბავშვიდან ბევრი ვერ მოესწრო ამ დღეს, მაგრამ მათ გადაარჩინეს ყველა ის ბავშვი, რომელიც ამ დიაგნოზით დაიბადება საქართველოში; გადაგვარჩინეს ჩვენ გულგრილობისგან და გაგვაერთიანეს მთელი მსოფლიოს შეღზუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა უფლებების დამცველები.

ერთი თვის წინ მივიღე წერილი საქართველოს შრომის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსგან, რომლითაც მადლობა გადაგვიხადეს იმისთვის, რაც გავაკეთეთ. აი, ეს იყო ყველაზე დიდი გარღვევა, რაც შევძელით და გავაკეთეთ – ადამიანის უფლებების ხედვა მივიტანეთ სახელმწიფომდე და დღეს ჩვენ და სახელმწიფო, ამ საკითხთან მიმართებაში, ერთ პოზიციაზე ვართ. მაგრამ ეს წერილი არ არის ჩემი თვითკმაყოფილებისა და კომფორტის საფუძველი, ეს არის საბუთი, ბილეთი მომავალი ბრძოლებისთვის. რადგან ვიცი, რომ უამრავი ბავშვი, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ და დარჩნენ ინსტიტუციებში, გველოდება ჩვენ. არ გავჩერდებით მანამ, ვიდრე მათი ცხოვრებაც არ შეიცვლება უკეთესობისკენ და მათი უფლებები არ იქნება დაცული. ჩემი გამოსვლის დასასრულს მოვიყვან მარგარეტ მიტის გამოთქმას: „არასოდეს შეგეპაროთ ეჭვი, რომ ძალიან მცირე, მიზანმიმართული, საქმისადმი ერთგული ადამიანები შეცვლიან მსოფლიოს. სინამდვილეში ეს ერთადერთია, რასაც აქამდე შეუცვლია".

ორგანიზაცია – „პირველი ნაბიჯის" წარმომადგენელმა **გიორგი დემეტრაშვილმა** შშმ ბავშვებისთვის სწორად შერჩეული სათამაშოების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ლალი ხანდოლიშვილმა, რომელიც ორგანიზაცია „ქედელის" ხელმძღვანელია, შშმ ადამიანებისთვის შრომისა და ხელოვნების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

კიდევ ერთი გამომსვლელი **თორნიკე გურული** კი „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდის" ხელმძღვანელია, რომელიც ახორციელებს სოციალურ პროექტს – „სიცოცხლის ხე". ეს პროექტი საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სოციალური აქტივობით შშმ ბავშვების განვითარებასა და ადეკვატურ გარემოში ცხოვრებას უწყობს ხელს.

„აქტიური საუბრების" დროს **ლია ტაბატაძემ**, რომელიც შშმ ბავშვის მშობელია და 2010 წლიდან შშმ ბავშვების მშობლებთან მუშაობს, საკუთარი ისტორია მოყვა. მან პირველი სირთულეები აღწერა, როდესაც შშმ ბავშვის დედა გახდა. პირველი წინააღმდეგობა საზოგადოებასთან. თუმცა, ლია ტაბატაძის თქმით, სწორედ ამის შემდეგ, ის საზოგადოებრივად გაცილებით აქტიური გახდა და ახლა შშმ ბავშვების მშობლებს თავად ეხმარება.

ღონისძიების ერთ-ერთმა სპიკერმა, **მარიამ მიქიაშვილმა** საკუთარი ისტორიით გაგვაცნო, თუ როგორ იცვლები ინკლუზიურ საზოგადოებაში. ის საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, არსებობს მხოლოდ შეზღუდული გარემო. მან 2004 წელს უსინათლო ბავშვთა სკოლა დაამთავრა. ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა აშშ-ში, სამხრეთ კაროლინის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. დაბრუნების შემდეგ, 2005 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, 2009 წელს კი გაემგზავრა ნორვეგიაში, ოსლოს უნივერსიტეტში, სადაც მიიღო მაგისტრის ხარისხი სპეციალურ პედაგოგიკაში. მარიამმა, 2012 წელს, დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „მარიანი", რომელიც მუშაობს უსინათლო და მხედველობადაქვეითებული ადამიანების განათლებაზე, რეაბილიტაციასა და გარემოს ადაპტირებაზე საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის მიზნით.

მარიამმა რამდენიმე მაგალითი გაიხსენა, როდესაც თბილისის ქუჩებში გადაადგილებისას, საფრთხეში ჩაიგდო თავი და ეს რიგასა და აშშ-ში ადაპტირებულ გარემოს შეადარა. მან მსმენელებს თავისი სტუდენტობისდროინდელი შემთხვევის შესახებაც უამბო: *„ერთ დღეს გამოცდა მქონდა, რომელსაც ჩემი ჯგუფელები წერილობით, მე კი ზეპირად ვაბარებდი. მეცადინეობა ვერ მოვახერხე და ლექტორის წინაშე სრულიად მოუმზადებელი აღმოვჩნდი. მახსოვს, სირცხვილისგან როგორ ვიწოდი, ყოველთვის მეტ-ნაკლებად წარჩინებულ სტუდენტად ვითვლებოდი, ახლა კი ვიდექი მთელი აუდიტორიის წინაშე და თითქმის არაფერი ვიცოდი. ლექტორის პირველ ორ შეკითხვას ცუდად ვუპასუხე, მესამეზე კი გამოვტყდი, რომ არ ვიცოდი. ვიდექი და პასუხს ველოდი. ლექტორმა კი მოულოდნელად მითხრა – „მარიამ, ახლა წადი, კარგად მოემზადე და ერთი კვირის შემდეგ ჩამაბარე გამოცდა" – იმ მომენტში ყველაზე ამაყი ადამიანი ვიყავი. საქართველოში პირველად, პირველმა ადამიანმა პიროვნებად აღმიქვა და ჩემში დაინახა თავისი ჩვეულებრივი სტუდენტი და არა უსინათლო ადამიანი".*

ქართული როგორც მეორე ენა

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ რუბრიკა „ქართული როგორც მეორე ენა“ გაცნობთ არაქართულენოვან რეგიონებში მომუშავე ქართული ენის პედაგოგებს, მათ პირად შთაბეჭდილებებს, პროფესიულ გამოცდილებასა და მიღწეულ შედეგებს. რუბრიკის სახელწოდება მხოლოდ ერთი მოსაზრებით შეირჩა – ქართული სკოლების მოსწავლეები ქართულ ენასა და ლიტერატურას სწავლობენ როგორც მშობლიურს, არაქართულენოვანი რეგიონების მოსწავლეები კი – როგორც მეორე ენას.

ჩვენ თვალს ვადევნებთ პროექტების – „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ და „ისწავლე ქართული, როგორც მეორე ენა“ – მიმდინარეობას და, შეძლებისდაგვარად, წარმოგიდგენთ ამ პროექტების ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს. რაკი მათი მიზანი ერთია – არაქართულენოვანი მოსწავლეები დაეუფლონ სახელმწიფო ენას, ჩვენც რუბრიკის სახელწოდებად შევარჩიეთ ფრაზა, რომელიც ზუსტად გამოხატავს ამ პროექტების მიზანს.

მადლობას ვუხდით პროექტების მონაწილე პედაგოგებს ჩვენს გაზეთთან თანამშრომლობისთვის და ვუსურვებთ წარმატებას არც თუ იოლ საქმიანობაში.

ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საბირქენდში ჩავედი. საბედნიეროდ, ჩემმა ქვეყანამ მომცა შანსი იმისა, რომ მონაწილეობა მიმეღო განათლების სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროგრამაში „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ და ჩემი ქვეყნის შენებაში მცირედი წვლილი შემეტანა. ორი წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ადგილი, სადაც მივდიოდი, ასე შემიყვარდებოდა და მისი ნაწილი გავხდებოდი, ბევრ რამეს შევცვლიდი და საბირქენდელებს ცხოვრებას გავულამაზებდი.

მე თეონა ტყემალაძე ვარ. 2012 წლიდან დღემდე ჩართული ვიყავი ზემოთ აღნიშნულ პროგრამაში და დიდი სიამაყით ვასრულებდი დაკისრებულ მოვალეობას. თავდაპირველად, წარმოდგენა არ მქონდა სად მივდიოდი, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ქართული უნდა მესწავლებინა ეთნიკური უმცირესობებისთვის და ვფიქრობ, ეს შევძელი. ორი წლის განმავლობაში მოვახერხე ის, რომ დღეს ჩემი მოსწავლეები ქართულად მეტყველებენ, მღერიან, ცეკვავენ და ქართულ უნივერსიტეტებში სურთ სწავლის გაგრძელება. მასწავლებლებში და თემში კი მივაღწიე იმას, რომ გააცნობიერეს – ქართული ენის შესწავლა მათი შვილებისთვის და მათთვის მომავალი წარმატების გარანტიაა. ამაში კი სწავლების ახალი სტრატეგიები და აქტივობები დამეხმარა, რომელიც ორი წლის განმავლობაში განვახორციელე.

სკოლაში, ქართული ენის კლუბების გარდა, ვამუშავებდი სამოქალქო განათლების კლუბს, რითაც ხელს ვუწყობდი მოსწავლეების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. ვახორციელებდი მნიშვნელოვან პროექტებს, როგორიც არის: გენდერული უთანასწორობა, ადამიანის უფლებები, ქალის როლი საზოგადოებაში, ეკო და საქველმოქმედო აქციები. შევქმენი სიმღერისა და ცეკვის წრე. ბავშვებს მარნეულისა და თბილისის მასშტაბით გამართულ კონკურსებში მონაწილეობის საშუალება მივეცი. მათი უმრავლესობა პირველად დადგა სცენაზე, ეს ერთგვარი დებიუტი იყო ფართო საზოგადოების წინაშე.

საქართველო რომ უკეთ გაეცნოთ, ვგეგმავდი ექსკურსიებს როგორც თბილიში, ისე რეგიონებში; ინტელექტუალურ თამაშთა ციკლს სახელწოდებით – „გავიცნოთ საქართველო“; ვიზიტებს სამხედრო ნაწილებში, რაც მათ პატრიოტულ სულისკვეთებას ამაღლებდა და დღის ბოლოს მათგან დადებით უკუკავშირს ვიღებდი – „მასწავლებელო, მე ჯარისკაცი მინდა გავხდე და საქართველოს ვემსახურო!“, „მინდა აფხაზეთში წავიდე თქვენთან ერთად, ვიცი, რომ ლამაზია!“, „მინდა, ქართული სრულყოფილად ვისწავლო, უნივერსიტეტში სწავლა მინდა!“ – ამ ფრაზების მოსმენის შემდეგ კი ვხვდებოდი, რომ ჩემმა იქ ყოფნამ შედეგი გამოიღო და თავს ბედნიერად და საჭირო ადამიანად ვგრძნობდი, გული სიამაყით მევსებოდა, ახალი ძალითა და ენთუზიაზმით ვივსებოდი. დავიწყე პროექტის განხორციელება – „მეგობრები ჩემი სკოლის გარეთ“. ბავშვები დავამეგობრე სხვადასხვა სკოლებს – როგორც ქართულს, ასევე აზერბაიჯანულს. შედეგი კი ის არის, რომ საბირქენდის სკოლა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესთან მეგობრობს და ყოველთვის, თუ რაიმე ღონისძიებაა, ჩემი სკოლა საპატიო დელეგატადაა მიწვეული, ასევე ჩვენი მეგობარი, მარნეულის და ყიზილაჯლოს №1 საჯარო სკოლები, რომლებთან ერთად ვგეგმავდით და ვახორციელებდით სხვადასხვა სასკოლო პროექტებს. ასევე მინდა ყურადღება გავამახვილო ადგილობრივ პედაგოგებზე, რომლებიც აღფრთოვანებული იყვნენ თავიანთი მოსწავლეების პროგრესით და ქართველებისადმი უსაზღვრო სიყვარულით. მასწავლებელთა უმრავლესობა აქტიურად შეუდგა ქართულის შესწავლას, ხოლო დირექტორი კი ყველგან და ყოველთვის სიამაყით საუბრობდა თავის მოხალისე მასწავლებლებზე. მისი შეფასება ასეთია: „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ პროგრამის ჩემი მოხალისე მასწავლებლები, როგორც მანქანები, ისე მუშაობენ! დიდი მადლობა მათ!“. საბირქენდის სკოლაში ერთი პროგრამიდან ორი მოხალისე ვართ და ვცდილობთ, ერთობლივი ძალებით, სკოლა მაქსიმალურად წინ წავწიოთ და გავაცნოთ ხალხს, რომ არსებობს საბირქედის №1 საჯარო სკოლა და იქ სწავლობენ ბავშვები, რომელთაც საქართველო ძალიან უყვართ.

ორმა წელმა ძალიან მალე გაიარა და ჩემი წამოსვლის დროც დადგა. ვიცოდი, ძალიან გამიჭირდებოდა. იქ ჩემი სიყვარულის დიდ ნაწილსა და შრომას ვტოვებდი, რაც ძალიან მეძნელებოდა. წამოსვლისას მსურდა, ჩემი მოსწავლეებისა და მასწავლებლების დიდი თხოვნა შემესრულებინა და კიდევ ერთი ექსკურსია დამეგეგმა, „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ პროგრამის ფარგლებში. მე და პროგრამის მონაწილე **სალომე ქირიამ**, ასევე ჩვენმა მეგობარმა სკოლებმა – ყიზილაჯლოსა და მარნეულის №1, მათმა მოხალისე პედაგოგებმა – **ზაირა მიქატაძემ** და **მარიამ ბობოხიამ** – გეზი დასავლეთ საქართველოსკენ, ქუთაისისკენ ავიღეთ. ექსკურსია მართლაც რომ შთამბეჭდავი აღმოჩნდა როგორც ბავშვებისთვის, ასევე 15 ადგილობრივი პედაგოგისთვის. მათ დაათვალიერეს პარლამენტის შენობა, გაეცვნენ მისი მუშაობის პრინციპს. მომდევნო გაჩერება ბუნების სასწაული – „პრომეთეს მღვიმე“ იყო. არასოდეს დამავიწყდება ჩემი მოსწავლეების გაფართოებული თვალები. მღვიმეში ყველაფერს ეხებოდნენ, აკვირდებოდნენ, აღფრთოვანებასა და ოვაციებს ვერ მალავდნენ: „მასწავლებელო, ეს რა სილამაზეა!“, „რა ლამაზი ყოფილა საქართველო!“, „ეს ნამდვილად ბუნების სასწაულია!“, „როგორ მინდა, კიდევ დიდხანს დავრჩეთ ქუთაისში!“. ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებისას დრო მალე გავიდა. რადგან ექსკურსია ერთდღიანი იყო, ბავშვებს ბევრი რამ დარჩათ უნახავი, მაგრამ წინ კიდევ ერთი გაჩერება გველოდა – გელათის დიდებული ტაძარი, რომლის ისტორია თითქმის ყველა ბავშვმა იცოდა, მაგრამ ცხადად, იმ დღეს, პირველად ხედავდნენ. რა თქმა უნდა, გელათის ნახვით მოხიბლული ბავშვები კამყოფილები დარჩნენ. მოინახულეს დავით აღმაშენებლის საფლავი და მუხლიც მოიყარეს დიდი მეფის წინაშე. მასწავლებლები და მოსწავლეები ყველაფერს დეტალურად აკვირდებოდნენ, სვამდნენ კითხვებს, უნდოდათ მეტის გაგება და ცოდნის გაღრმავება.

მოსაღამოვდა, წამოსვლის დრო დადგა, თუმცა ბავშვებს ქუთაისის დატოვება არ უნდოდათ, მაგრამ რას იზამდნენ, დაჰყვნენ პედაგოგებისა და მშობლების ნებას და კმაყოფილები საბირქენდისკენ იმ იმედით გამოემგზავრნენ, რომ მომავალ წელს კვლავ ესტუმრებიან ქუთაისს ორდღიანი ექსკურსიით. სოფელში დაქანცულები დაბრუნდნენ, მეორე დღეს ნანახს მეგობრებს უყვებოდნენ, მასწავლებლები კი კოლეგებს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს.

მალე 13 ივნისიც მოვიდა და ჩემი გამომგზვრების დრო დადგა. ვიცოდი, ეს დღე ემოციურად მძიმე იქნებოდა. ბავშვებმა სიურპრიზი გამიკეთეს და დიდებულად გამომაცილეს, ხვევნა-კოცნითა და ცრემლებით. მასწავლებლებმა კი წარმატებები მისურვეს. მე კი თვალცრემლიანმა დავტოვე საბირქენდი იმ იმედით, რომ ჩემი მოსწავლეები ჩემს ნასწავლს არასოდეს დაივიწყებენ და კვლავ გააგრძელებენ ქართული ენის აქტიურად შესწავლას. თუმცა, განშორება დროებითია, რადგან ჩემი და ჩემი მოსწავლეების მეგობრობა სკოლის გარეთაც გაგრძელდება. მათ ასეთი სიტყვები გამომაყოლეს: *„მას, თბილისში შევიკრიბოთ ხოლმე და თქვენც ჩამობრძანდით ხშირად ჩვენთან. გვინდა, თქვენთან ერთად მოვიაროთ საქართველო!“.*

წარმატებას ვუსურვებ თითოეულ ჩემს მოსწავლეს. მსურს, იყვნენ ბედნიერები და საქართველოს სიყვარული მათ გულებში არასოდეს განელებოდეთ.

თეონა ტყემალაძე

ქართული როგორც მეორე ენა

არა გენდერულ უთანასწორობას!

სოფელი საბირქენდი მარნეულის მუნიციპალიტეტის უახლოესი სოფელია, თუმცა ქალაქთან სიახლოვის მიუხედავდად აქ მაინც სულ სხვა გარემოა. როგორც ქვემო ქართლის უმრავლეს სოფელში, აქაც მწვავედ დგას გენდერული უთანასწორობის პრობლემა. ჩემი ჩასვლის შემდეგ, ერთწლიანი დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად, როდესაც სკოლაც და ადგილობრივი თემიც კარგად გავიცანი, გადავწყვიტე სოფლის მოსახლეობისათვის, პედაგოგებისა და მასწავლებლებისათვის მეკითხა აზრი, თუ რას ფიქრობდნენ გენდერულ უთანასწორობაზე? შედეგი სავალალო აღმოჩნდა – ზოგი ხმამაღლა საუბარს გაურბოდა, ზოგმა არ იცოდა და ზოგსაც სრულებით არ აინტერესებდა ეს საკითხი. თუმცა ვიპოვე ადამიანები, რომლებაც მითხრეს, რომ ეს ყველაზე დიდი პრობლემაა, რომელიც მათ აწუხებთ.

„არ მოგვწონს, როდესაც გოგონები ადრე თხოვდებიან, ცოლს ქმარი გარეთ გასვლასა და მუშაობას უკრძალავს“; „მე-9 კლასელები დანიშნულები არიან და სკოლაში აღარ უშვებს ოჯახი, ეს ხომ არ არის ნორმალური საქციელი, მაგრამ რას ვიზამთ, ვეგუებით“. ბაშვები კი ასე მეუბნებოდნენ: „მასწავლებელო, არ მინდა გათხოვება, მაგრამ მამა რასაც გადაწყვეტს, ის არის კანონი“; „მასწავლებელო, დამნიშნეს, იცით, როგორ არ მინდა გავთხოვდე?! ქორწილში შავ კაბას ჩავიცვამ!“. ვხედავდი ამ პრობლემებს, ვუსმენდი მოსახლეობისა და მასწავლებლების ასეთ შეფასებებს და გადავწყვიტე, ახალი პროექტი წამომეწყო, რომელიც ცოტათი მაინც დააფიქრებდა და გამოაფხიზლებდა ადგილობრივ თემს. დავიწყე საპროექტო იდეის შემუშავება. პროექტს სახელად „კონსტიტუციის მე-14 მუხლი“ დავარქვი (ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა) და ამოსავალი წერტილიც სწორედ ეს მუხლი გახდა. თუმცა, გენდერულ თემატიკაზე უფრო მეტი ყურადღება გავამახვილეთ. მოვიძიეთ თანხები, რაშიც დაგვეხმარა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა და ორგანიზაცია PH international, რომელიც მცირე გრანტებით აფინანსებს სკოლის მოსწავლეების ინიციატივებს. ბავშვებმა ასეთ მწვავე პრობლემაზე საჯაროდ პირველად ისაუბრეს. თავიდან დაბნეულები იყვნენ, თუმცა სამოქალაქო კლუბის შეხვედრებზე მოვახერხე მათი თვითშეგნების ამაღლება და დავარწმუნე, რომ ისინი „სოფლის პირველი მერცხლები“, ახალი ძალა არიან და სწორედ მათზეა დამოკიდებული ქვეყნის განვითარება. შევუდექით აქტიურ მუშაობას. პროექტი სამი თვის მანძილზე წარმატებით ხორციელდებოდა. ჩვენ, პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ მოხალისე მასწავლებლები, აქტიურად ვუწყობდით ხელს ბავშვების ჩართულობასა და მასწავლებლების ინფორმირებას. მოსწავლეებმა შეადგინეს კითხვარები და სოფლის 300 მაცხოვრებელი გამოკითხეს. დავგეგმეთ ორი სატრენინგო შეხვედრა, სადაც მოვიწვიეთ მეგობარი სკოლები და ჩავატარეთ ტრენინგი გენდერულ უთანასწორობაზე, ნაადრევ ქორწინებაზე. ტრენინგის შემდეგ მოსწავლეებმა მოწვეულ ტრენერს, **ნონა სამხარაძეს** ასეთი რამ განუცხადეს: *„კარგი იქნება, ჩვენს მშობლებს ხშირად ესაუბროთ ამ საკითხებზე, იქნებ ცოტათი აზრი შეიცვალონ“.* მომდევნო აქტივობა, რომელიც ბავშვების ინიციატივით მოვაწყვეთ, იყო აქცია სოფელ საბირქენდში. მოსწავლეებმა მოამზადეს პლაკატები, მიღებული გრანტით დაბეჭდეს ბუკლეტები ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე და ასე „შეირაღებულებმა“ შეძახილებით მოიარეს მთელი სოფელი, დაარიგეს ბუკლეტები და მოსახლეობას უხსნიდნენ ქალისა და კაცის უფლებებს, ესაუბრებოდნენ გენდერულ თანასწორობაზე და ცდილობდნენ სოფლის მოსახლეობის გამოფხიზლებას. მთელი სოფელი აახმაურეს სლოგანებით: „არა გენდერულ უთანასწორობას!“, „არა ქალის ჩაგვრას!“, „ქალი და კაცი თანასწორები არიან! ძირს გენდერული უთანასწორობა!“.

პროექტი ნელ-ნელა დასასრულისკენ მიდიოდა და ბოლო აქტივობისთვის მზადებას შეუდგნენ სამოქალაქო კლუბ „პირველი ნაბიჯების“ წევრები. მათი მუხტი მთელ სკოლას გადაედო და თანდათან შეიკრიბეს ხალხი. ბოლო აქტივობა, რაც განახორციელეს, იყო ფოტოგამოფენა მარნეულის კულტურის ცენტრში, სადაც ასახული იყო სოფელში მათი თვალით დანახული გენდერული უთანასწორობის ფაქტები და აქციის მსვლელობა. გამოფენას იმაზე მეტი დამთვალიერებელი ჰყავდა, ვიდრე ველოდით. ბავშვები მასპინძლების როლში იყვნენ და ხალხს უხსნიდნენ, თუ რას ემსახურებოდა გამოფენა. ბოლოს შემაჯამებელი შეხვედრა გავმართეთ მარნეულის მუნიციპალიტეტის შენობის მცირე დარბაზში. თვალი გადავავლეთ განხორციელებულ აქტივობებს. შევაჯამეთ, თუ რა მისცა მათ პროექტმა, ბაშვები კმაყოფლებას ვერ მალავდნენ: *„ჩემი უფლებები კარგად ვიცი, უსამართლობას ადვილად აღარ შევეგუები! სოფელში ხშირად განვახორციელებთ ასეთ პროექტებს, ძალიან მოგვეწონა!“.*

მეც კამაყოფილი ვიყავი, რადგან გავბედეთ და შევეხეთ პრობლემას, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, ტაბუ ადევს, განსაკუთრებით ისეთ რეგიონში, როგორიცაა ქვემო ქართლი. მჯერა, რომ მოსახლეობა დაფიქრდება მაინც აღნიშნულ პრობლემაზე და ცოტათი მაინც შეცვლის თავისი სოფლის რეალობას. ეს ბავშვები კი მისაბაძი გახდებიან სხვა მოსწავლეებისათვის.

თეონა ტყემალაძე

იურისტის კონსულტაცია

ვისი დასაქმება იზღუდება ზეგანაკვეთურ სამუშაოზე მათი თანხმობის გარეშე?
აკრძალულია ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, არასრულწლოვნის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

რა მიიჩნევა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ?
ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა, მხარეთა შეთანხმებით, დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვნისთვის აღემატება კვირაში 40 საათს, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 24 საათს.

როგორ ხდება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება?
ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით და ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ, დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე.

ნატა ჩანადირი
საქართველოს პედაგოგთა
და მეცნიერთა თავისუფალი
პროფკავშირის იურისტი

ქართული როგორც მეორე ენა

„ტკბილი მოგონებები“

რა არის დრო? რომც გინდოდეს, მას მაინც ვერ შეაჩერებ. წამი წუთს მისდევს, წუთი საათს, დღეები მიდიან და რჩება ცხოვრების ფურცლები, რომელზეც რაღაც მომენტებია ჩასახლებული. დღეს ცოტას საკუთარ თავზე მოვყვები, მოვყვები და თან გიჩვენებთ. ვფიქრობ და თან ფილმის კადრებივით გადამეშალა თვალწინ ჩემი წარსული. მართალი გითხრათ, ბავშვობაში სულ ვოცნებობდი მასწავლებლობაზე, თავს ხშირად წარმოვიდგენდი მასწავლებლის ამპლუაში. თუმცა გავიდა დრო, პროფესიით ჟურნალისტი გავხდი, წარჩინებით დავასრულე სტუდენტური წლები, მინდოდა, „სიმართლის კვალდაკვალ“, ყველას და ყველაფერს წინ აღვდგომოდი. ჟურნალისტობა მოითხოვს გამტანობას, სიამაყეს, სამართლიანობას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამიტომ, დროებით გადავდე კალამი და ფურცელი გვერდზე და, მეგობრის რჩევით, მოვხვდი პროგრამაში „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“. დამაინტერესა სხვა ერის კულტურამ, ტრადიციამ. ვასწავლი და თან ვსწავლობ, ყოველდღიურად ვსწავლობ. თითქოს მეორე პროფესიაც შევითავსე. დიახ, მე მიყვარს ჩემი მოსწავლეები, ჩემი პროფესია.

თებერვლის სუსხიანი ამინდი იყო, როცა ამ სოფელში შემოვდგი ფეხი. ფრთამოტეხილი ჩიტივით თავს დაუცველად ვგრძნობდი. უცხო გარემო, ოჯახი, ენობრივი ბარიერი – ეს ყველაფერი ჩემთვის უცხო იყო, მაგრამ ჩამოსვლისთანავე ვიგრძენი, რომ ამ ოჯახისთვის არა მხოლოდ სტუმარი და სოფლის მასწავლებელი ვიყავი, არამედ უფრო მეტიც, ოჯახის წევრი გავხდი.

როცა თბილად გამოწვდილ ხელს ვუყურებ, ასე მგონია ანგელოზი მაძლევს შანსს, სიკეთე ვაკეთო. ამ თბილმა გარემომ გამაძლიერა და დარჩენის სურვილი გამიჩინა. ვფიქრობდი, ერთ წელზე მეტხანს ვერ გავძლებდი, თუმცა რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვიძირები ტკბილი „უფსკრულისაკენ“. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მე აქ მეორე ოჯახი მყავს, რომლებიც ჭირშიც და ლხინშიც მუდამ ჩემ გვერდით არიან. მერე რა, რომ სხვა ეროვნებისა და კულტურის წარმომადგენლები არიან? სიყვარულს ეს დაბრკოლებას არ უქმნის. ვფირობ, ჩემი აქ გატარებული წლები ერთმანეთისგან განსხვავებული, საინტერესო და შედეგიანი იყო ამ ბავშვებისთვის. ჩვენი სკოლის დირექტორის, ბატონ **ხალიდ იბადოვის** გულისხმიერებით, გამოგვიყვეს ქართული ენის კაბინეტი, ეს ოთახი ჩვენი კუთხეა, საქართველოს კუთხე, აქ ვატარებთ ყველა აქტივობას – ქართული ენის წრეებს, სიმღერის გაკვეთილებს, ფილმების ჩვენებას, სამოქალაქო კლუბის ღონისძიებებს, საინფორმაციო შეხვედრებს. აქ ყოფნა ყველას გვიყვარს, რადგან ამ ოთახში მუდამ ტრიალებს ქართული სული და გული. როგორ მახსოვს, პირველად რომ ჩამოვედი, პირველი სიმღერა, რაც ვასწავლე, იყო „ჭრელო პეპელა“. ერთ წელიწადში ჩამოვაყალიბეთ სიმღერის ანსამბლი „საბირქენდის ახალი ხმები“. ბავშვები ოცზე მეტ პატრიოტულ სიმღერას მღერიან, „სულიკოთი“ დაწყებული და „კავკასიური ბალადით“ დამთავრებული. გარდა ამისა, სკოლაში ქართული ცეკვის მასწავლებელი მოვიყვანე, პატარების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, საბირქენდის ქუჩებში, სკოლის წინ უკვე ქართულად აცეკვებული პატარები ჩაიქროლებენ. მშობლები და მასწავლებლები კი ინტერესითა და სიამაყით ხვდებიან ამ სიახლეებს. ამ სამ წელიწადში ძალიან ბევრი რამ გაიგეს და ნახეს ბავშვებმა, შემოვატარეთ საქართველოს ბევრი კუთხე, ახლოდან გაიცნეს კულტურა.

თბილისის №77 სკოლასთან დავამეგობრეთ, სადაც ჩვენმა მოსწავლეებმა ქართულ ენაზე ჩააატარეს კონცერტი. მოვაწყვეთ გამწვანების აქცია, 9 აპრილისადმი მიძღვნილი საღამო, ვეწვიეთ მარნეულის სასურსათო ქარხანას, შეიარაღებულ ძალებს. ბავშვები გვყავდა სპექტაკლზე „კუკარაჩა“, გავმართეთ საქველმოქმედო კონცერტები სოფლებში, ანუ რასაც სწავლობენ, ყველაფერს პრაქტიკაში იყენებენ და ახორციელებენ, მათი ყოველი დღე სიახლეა და ეს ცვლილებები მათი წარმატების საწინდარია.

პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ იძლევა შანსს, კიდევ ერთი წელი გავაგრძელო კონტრაქტი, ამიტომ მეც მინდა, ეს შანსი ხელიდან არ გავუშვა. ვფიქრობ, ამ ხალხს კიდევ ვჭირდები, იდეებს რა გამოლევს, მთავარი საქმის კეთების სურვილია. თუ მომეცემა ამის შანსი სამინისტროს მხრიდან, ძალიან მადლობელი დავრჩები. დროებით დავემშვიდობე ყველას იმ პირობით, რომ სექტემბერში ისევ დავბრუნდები ახალი იდეებითა და ენერგიით. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა ჩემს კოლეგას და მეგობარს, ვინც კონტრაქტი დაამთავრა, წარმატება ვუსურვო ცხოვრებაში. მართლაც რომ საქართველოს საამაყო შვილები ხართ, არა მარტო იმიტომ რომ საქვეყნო საქმეს აკეთებთ, არამედ ყველა იმ სიკეთისთვის, რაც ამ სოფელსა თუ რეგიონს მოუტანეთ. ასევე დიდი მადლობა გაზეთის რედაქციას და რედაქტორს იმისათვის, რომ მაქვს შანსი, ჩემი შთაბეჭდილებები და ემოციები თამამად გავუზიარო მკითხველს.

სექტემბრიდან კი კვლავ აქტიურად შემოგიერთდებით ყველას ერთად. გვიყვარდეს ერთმანეთი, პატივი ვცეთ ერთმანეთს და ღმერთს მუდამ ვემახსოვრებით.

სალომე ქირია
საბირქენდის აზერბაიჯანული სკოლის ქართულის მასწავლებელი

მოსწავლე შემოქმედი

გთავაზობთ საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ლიტერატურული სტუდიის „ცეროდენა კალმოსანთა“ კლუბის წევრების, თბილისის N32 საჯარო სკოლის მეხუთეკლასელების – გიორგი ბურჭულაძის და საბა კილასონიას – შემოქმედებას.



საბა კილასონია

ქაღალდის თვითმფრინავების აეროდრომი

ბავშვები მოუთმენლად ველოდით ზარის დარეკვას. ზარიც დაირეკა, შესვენება დაიწყო. ყველანი ფანჯრებთან მივცვივდით. ბიჭები ქაღალდის თვითმფრინავებს ვისვრიდით. ხალხი გაკვირვებული იყო, ამდენ თვითმფრინავს ვინ უშვებსო.

დაიწყო შემდეგი გაკვეთილი. მასწავლებელს ცოტა დააგვიანდა. ბავშვები თვითმფრინავებს გაკვეთილზეც ვაკეთებდით, რომ შემდეგ დასვენებაზეც გაგვეშვა. როცა გარეთ გადავიხედეთ, ჩვენს თვალწინ ქაღალდის თვითმფრინავების უზარმაზარი აეროდრომი იყო. ამ დროს კლასის დამრიგებელმა შემოგვისწრო. ჩვენი თვითმფრინავები ზემოთ ამოგვატანინა და გადაგვაყრევინა.

ასე განადგურდა ჩვენი თვითმფრინავების აეროდრომი.

გიორგი ბურჭულაძე

დღეს პირველი აპრილია

გაზაფხულია... მოდიან ჩიტები ჭიკჭიკით, სიხარულითა და მონატრებით. ცხოველები გამოდიან ბუნაგებიდან და სოროებიდან. ანათებს ცხრათვალა მზე. კვირტებდაბერილი ხეებიდან გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობა. კარგი ამინდია... სიხარულია, ჟრიამულია, ადამიანებსაც უხარიათ გაზაფხულის მოსვლა. გაზაფხულია! გაზაფხულია!

– თოვლი! თოვლი! – გაისმა უცებ პატარა გოგონას ძახილი. ხალხმა ფანჯრებიდან გადმოიხედა. ექვსი წლის გოგონა ფიფქებში იჯდა. ბავშვები გაოცებულები შესცქეროდნენ, გოგონა კი ბანაობდა და ბანაობდა თეთრ, ბრწყინვალე ფიფქებში. ბავშვები გაბრაზდნენ.

– სად არის თოვლი!? – შეუყვირეს გოგონას.

– დღეს პირველი აპრილია! – ღიმილით თქვა გოგონამ.

ერთმა ბიჭმა გოგონას უთხრა: ეს თოვლის ფანტელები კი არა, აყვავებული ტყემლის ხიდან ჩამოცვენილი ფანტელებია.

თვალსაზრისი

ტრენინგების ქვეყენა

მახსენდება დრო, როცა საბჭოთა კავშირის სივრცეში გამოცხადდა სოციალიზმის მშენებლობა. თუმცა, ვფიქრობ, არ იცოდნენ რას აშენებდნენ და როგორ უნდა ეშენებინათ. მიმართავდნენ ე.წ. კრებებს ყველგან და ყველაფერზე. ეს კი იმდენად მომაბეზრებელი და არაფრის მომცემი აღმოჩნდა, რომ ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ლექსი უძღვნა: „კრებები, კრებები, კრებები! ოხ, კიდევ ერთი კრება, რომ მოისპოს სუყველა კრება“.

გავიდა დრო. სოციალიზმი აშენებულად გამოცხადდა. დაიწყო კომუნიზმის მშენებლობა. თუმცა, ამ უტოპიის განხორციელების თავადაც არ სჯეროდათ. კრებებმა მოგვჭამა ჭირი. დაადგნენ, კომუნიზმის მშენებლობის ვირტუალურ გზას – ე.წ. ლოზუნგებს. ქვეყანა ლოზუნგებად იქცა. წიგნიც კი დაიწერა – „ლოზუნგების ქვეყანა“. როგორც სოფელი ვერ აშენდა სიმღერით, ვეღარც კომუნიზმი ააშენეს ლოზუნგებით.

კომუნიზმს, როგორც უტოპიას, თავი დავაღწიეთ და დავიწყეთ თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა კრებებისა და ლოზუნგების გარეშე, ახალი გზით – ე.წ. ტრენინგებით.

ტრენინგი, ჩემს მეხსიერებაში, სპორტსმენებთან და ცხოველებთან ასოცირდებოდა. ტრენერი/მწვრთნელი, ტრენინგი/წვრთნა, რომელიც აუცილებლად სჭირდება ცხოველს, ჩვენთვის სასურველი ქცევის მისაღებად; ასევე სპორტსმენს, მათი ფიზიკური მონაცემების გასაწვრთნელად; სპორტის არჩეული სახეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომლის ჩატარება შესაძლებელია ყველგან: მოედნებზე, ქუჩაში, მიტოვებულ შენობაში, პლაჟზე და ა.შ.

მოკლედ, მთავარ სათქმელს მივადექი.

საქართველოში, განათლების სისტემის რეფორმამდე, ყველა რეგიონში არსებობდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების/დახელოვნების ინსტიტუტები. თბილისში კი, ორი ინსტიტუტი იყო – საქალაქო და ცენტრალური.

1981 წელს, მსგავსი ინსტიტუტი გაიხსნა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პედაგოგებისათვის, ქალაქ ზუგდიდში, სადაც ვმუშაობდი ფიზიკის სასწავლო მეთოდური კაბინეტის გამგედ, ვიდრე დახურვამდე. სულ საქართველოში ასეთი 9 ინსტიტუტი არსებობდა. ყოველ მათგანს ძალიან კარგი ინფრასტრუქტურა ჰქონდა: სასტუმრო, კვების ობიექტი, სატრანსპორტო საშუალება, აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორია. კურსები ტარდებოდა არასასწავლო პერიოდში (გამონაკლისის გარდა), როცა მასწავლებლებს შეეძლოთ კურსების გავლაც და დასვენებაც.

2000 წლისათვის, განათლებაში რეფორმის დაწყებიდანვე, ყველა ინსტიტუტი დაიხურა, რასაც შემდეგი მიზეზით ხსნიდნენ: ყველა საგანში, ყველა კლასისთვის არსებობდა მეთოდური სახელმძღვანელოები და მასწავლებელს თავად შეეძლო აემაღლებინა კვალიფიკაცია, თუ ამისი ნება და მოტივაცია ექნებოდა.

ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ინსტიტუტების დახურვისა და ინფრასტრუქტურის განადგურებიდან ცოტა ხანში, უკვე 2004 წელს, დაიწყო კურსების სახეცვლილების, ე.წ. ტრენინგების სერია. მამაო ჩვენოსავით გვაზუთხეს 14 ფსიქოლოგის თეორია.

- შედეგი?

- ნული!

ტრენინგომანიიდან მე-4 და მე-7 წლისთავებზე, 2008 და 2011 წლების საერთაშორისო გამოკითხვის შედეგებით, სასკოლო განათლების მხრივ, ქვის ხანიდან ახლად გამოსული ქვეყნების გვერდით აღმოვჩნდით.

პროფესიული უნარების ტრენინგებს მოჰყვა საგნობრივი ტრენინგები (საბუნებისმეტყველოს გარდა). დაიწყო ძვირადღირებული ტრენინგების ბუმი. უმუშევარ და გაღატაკებულ ქვეყანაში ტრენინგები ბიზნესის წყარო გახდა. ტრენინგი ტარდება ყველაფერში, დატრენინგების გარეშე ნაბიჯი ვერ გადაგვიდგამს, შეხვედრისას გამარჯობა ვერ გვითქვამს ერთმანეთისთვის, ბრმას ჯოხი ვერ გაუქნევია.

ტრენინგები ტარდება ყველგან: მიტოვებულ ან თავისუფალ საკლასო ოთახებში, შიშველი ხელებით, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების გარეშე.

ტრენინგებს ატარებს ყველა: ხარისხის მქონე თუ არმქონე, მეცნიერი თუ არამეცნიერი, პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი. ტრენინგებმა იმდენად „გაგვიტაცა“, რომ მასწავლებლები სასაცილო და დამცირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თითოეულ მათგანს, წელიწადში იმდენჯერ იძახებენ ტრენინგებზე, რომ რცხვენიათ და ამაზე საზოგადოებაში არც საუბრობენ.

– შედეგი?

– ნული.

დასკვნის საფუძველი – ისევ გამოკითხვის არასასურველი შედეგები.

ლოგიკურად იბადება კითხვა: რაღას ვერჩოდით, ვანგრევდით და ვანადგურებდით უკვე აშენებულ, მდიდარი ინფრასტრუქტურის მქონე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების (დახელოვნების) ინსტიტუტებს ან რისთვის გავზარდეთ სასკოლო და საუნივერსიტეტო სასწავლებლებში სწავლის ხანგრძლივობა 2 წლით? მიმდინარე სასწავლო წელს, ჩვენი პატარა სოფლის პატარა სკოლიდან, გაკვეთილების შემდეგ, 17 მასწავლებელი ერთდროულად გარბოდა ტრენინგებზე.

უფროს კოლეგას ვკითხე, რატომ და სად მიეჩქარებოდა. პასუხად ერთი ჭკვიანური გამონათქვამი გაიხსენა: „ძაღლი ღორს მისდევდა, მაგრამ ღორი რას მისდევდაო?“ – სწორედ ასეა ჩემი საქმეო. 26 წელიწადი ვიმუშავე სკოლის დირექტორად და თურმე, მოქალაქედ ვერ ჩამოვყალიბებულვარო, სამოქალაქო განათლების ტრენინგზე ვარ გამოძახებული და იქ გავრბივარო.

რამ აიძულა მხცოვანი პედაგოგი, რა სამოქალაქო განათლების დეფიციტს განიცდიდა? პასუხი მარტივია: ე.წ. სქემამ, რომელიც კრედიტქულების დაგროვებასთან, ხოლო ეს უკანასკნელი კი ტრენინგებთან ასოცირდება.

30 კრედიტქულის მოგროვება ხელფასის მომატების საფუძველი ხდება, მაგრამ ამას იმდენი დრო სჭირდება, რამდენიც სტალაგმიტის ზრდას 30 მმ-ით.

ტრენინგი, გარდა გონებრივი წვრთნისა, ბიოლოგიურადაც „წვრთნის“ მასწავლებლებს – ერთჯერად კვებაზე ჰყავს გადაყვანილი. ქალების უმეტესობა, რატომღაც, დილით არ საუზმობს (პედაგოგების 90% ხომ ქალია). სკოლებში კვების ობიექტები ჯერ კიდევ შაშკინობის პერიოდში დაიხურა იმ მიზეზით, რომ ბიუჯეტში ბევრი ფული არ შეაქვსო. იქვე მიაყოლეს სასკოლო ბიბლიოთეკები, ქვეყნის ეკონომიკას აზარალებსო. სამწუხაროდ, მას მერე არც ერთი გაუხსნიათ და არც მეორე. ეს ისე, ცნობისათვის.

ჰოდა, მასწავლებელი სკოლაში 4-ის ნახევრამდე უნდა იყოსო!

ნაცვლად იმისა, გაკვეთილების შემდეგ, დაღლილი და მშიერი მასწავლებელი, სახლში წავიდეს, დაისვენოს და მომდევნო დღის გაკვეთილებისათვის მოემზადოს, 4-ის ნახევრის დადგომას სკოლაში ელოდება. სკოლიდან გამოქცეული, ალბათ 4-ისთვის მიუსწრებს ტრენინგებს, ხოლო იქიდან გამოქცეული, მართლაც მისწრებაზე, ვახშმად მაინც თუ მიაღწევს სახლში, ნამდვილი გამართლება იქნება.

ვფიქრობ, დღეს ძალიან აქტუალური იქნებოდა ვლადიმერ მაიაკოვსკის ზემოთ მოტანილი ლექსი ოდნავი სახეცვლილებით: „ტრენინგები, ტრენინგები, ტრენინგები! ოხ, კიდევ ერთი ტრენინგი, რომ მოისპოს სუყველა ტრენინგი!“.

დემურ კუხალეიშვილი
ზუგდიდი, ჩხორიის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი

სასკოლო სპორტის განვითარებისათვის

თვალწინ მიდგას პატარა მეშვიდეკლასელი ბიჭუნა ბექა, როგორი სიხარულით თამაშობდა ბურთს. ის და მისი თანატოლი ათასობით მოსწავლე საქართველოში მხოლოდ ერთი ბურთით თამაშობს გაკვეთილზე. ასეთ პირობებში მას ვერ შევუქმნით მნიშვნელოვან საფუძვლებს მისთვის საყვარელ სპორტის სახეობაში. ამ კონტრასტის (ბექას სიხარულის და სკოლაში რომ პერსპექტივა არა აქვს) შემყურე ნებისმიერ ადამიანს გულისტკივილი მოიცავს და მოქმედებისკენ განაწყობს.

სკოლა მოსწავლეს უნდა სთავაზობდეს მრავალ ალტერნატივას როგორც აკადემიური საგნების მხრივ, ისე სპორტისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში, რათა მას ჰქონდეს თავისი ინტერესებისა და ნიჭის სრულფასოვანი განვითარებისა და რეალიზების შესაძლებლობა. შეიძლება მოსწავლეს უყვარს ფეხბურთი და ამის ნიჭიც აქვს, ჩვენი სკოლის პირობებში კი მას ამ ნიჭის დაკარგვა ემუქრება.

როდესაც მოსწავლეთა საფეხბურთო ჩემპიონატებს ვუყურებ, ერთი განწყობა მეუფლება – საქართველოს სკოლებში ფეხბურთში ისეთივე უარყოფითი მდგომარეობაა, როგორიც ჩემი მოსწავლეობის დროს იყო (1980-1991 წლებში). მცირედ წინსვლასაც ვერ ვხედავ. მოსწავლეები ვერ ფლობენ ფეხბურთის ისეთ საბაზისო უნარებსა და ცოდნას, როგორებიცაა: ბურთის ახლო მანძილზე ერთი შეხებით გაჩერება, ერთი ან ორი შეხებით ბურთის ზუსტი გადაცემები, თავით თამაში, მოწინააღმდეგის მოტყუება, დრიბლინგი, კარში ძლიერი და ზუსტი დარტყმა, ამა თუ იმ პოზიციაზე მოთამაშე ფეხბურთელის ფუნქციები და სხვ.



ამის გამო, სასკოლო ფეხბურთს ვერ შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ქვეყნის ეროვნული ფეხბურთის განვითარების საქმეში. მიზეზიც ცხადია – მასწავლებლებს არა აქვთ ფეხბურთის ვარჯიშების სახელმძღვანელოები თუ ვიდეომასალები, არ უტარდებათ ტრენინგები, არა აქვთ მოტივაცია (პრემიები), შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ინვენტარი.

ფეხბურთის განვითარება კი დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე – პროფესიონალი ფეხბურთელის შემოსავალი საკმაოდ მაღალია, ვინაიდან ის მაღალი ღირებულების მომსახურების პროდუქტს აწარმოებს, რაც მეტ მთლიან შიდა პროდუქტს ნიშნავს. შესაბამისად, მას მეტი საშემოსავლო გადასახადი შეაქვს ქვეყნის ბიუჯეტში, ეხმარება თავის ახლობლებს...

სასკოლო ფეხბურთის განვითარების 5 ფაქტორს გამოვყოფდი:

❖ როგორც ვიცით, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სპორტის სწავლების მიზანია მოსწავლის ფიზიკური განვითარება და ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობის გაცნობიერება (42,3). ჩემი აზრით, სპორტის სწავლების მიზანი უნდა იყოს სპორტის სახეობებში (რომელსაც მოსწავლე აირჩევს) გარკვეული საბაზისო უნარ-ჩვევებისა და ცოდნის განვითარება. ამისათვის კი კვირაში ორი 45-წუთიანი გაკვეთილის ჩატარება საკმარისი არ არის. სასკოლო დროის შემდეგ, კვირაში სამჯერ მაინც, მინიმუმ ორ-ორი საათის განმავლობაში, საჭიროა საწვრთნელი გაკვეთილების ჩატარება (ზოგჯერ თეორიული გაკვეთილებიც). სპორტის სახეობები, ცხადია, საკუთრივ მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ, რის საფუძველზეც მოსაზღვრე ასაკის მოსწავლეები ერთ ჯგუფში გაერთიანდებიან. სპორტის ამა თუ იმ სექტორში გაწევრიანება არ უნდა იყოს სავალდებულო, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება, გაწევრიანდება თუ არა რომელიმე სპორტულ სექციაში.

რაც შეეხება დღევანდელ სპორტის გაკვეთილებს, გარკვეულწილად, უნდა შეიცვალოს მათი შინაარსი. გაკვეთილი უნდა მოიცავდეს, ერთი მხრივ, სწავლებას ჯანმრთელი ცხოვრების წესის შესახებ (რაციონალური კვება, სტრესების პრევენცია და მართვა...), მეორე მხრივ, ჯანმრთელობისათვის საჭირო ვარჯიშებს. ამიტომ, ასეთი გაკვეთილების ჩატარება მიზანშეწონილია მედიცინის სპეციალისტის მიერ;

❖ საჭიროა სპორტის წრის მასწავლებელს ხშირად ჩაუტარდეს ტრენინგები;

❖ მასწავლებელთა მოტივირება. სპორტის წრის მასწავლებლებზე უნდა გაიცეს მნიშვნელოვანი პრემიები, თუკი მოსწავლეები, შესაბამისი გამოცდების საფუძველზე, უპასუხებენ განსაზღვრულ სტანდარტებს ან სპორტულ შეჯიბრებებში (მუნიციპალური, რეგიონული ან ქვეყნის მასშტაბით) მოიპოვებენ საპრიზო ადგილებს. მაგალითად: თუ ფეხბურთში, მუნიციპალიტეტის დონეზე, რომელიმე ასაკობრივ ჯგუფში, გუნდი დაიკავებს პირველ ადგილს, მასწავლებელს შეიძლება გადაეცეს 500 ლარის პრემია, მეორე ადგილის დაკავებისათვის – 400, ხოლო მესამე ადგილის დაკავებისათვის – 300 ლარი;

❖ საჭიროა სკოლების სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა. არ შეიძლება, ათი მოსწავლე ერთი ბურთით ვარჯიშობდეს. ერთ მოსწავლეზე, ვარჯიშის დროს, ერთი ბურთი უნდა მოდიოდეს. განა ეფექტური იქნება, ათი მოსწავლე ერთი წიგნით რომ სწავლობდეს?

❖ სპორტული ინფრასტრუქტურისა და დარბაზების კეთილმოწყობა. უმნიშვნელოვანესია მინდვრის საფარის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. არასტანდარტული ზედაპირის მქონე მინდორზე ფეხბურთელი ვერ შეძლებს ერთი შეხებით ბურთის გაჩერებას თუ გადაწოდებას, რაც დიდწილად ადაბლებს ფეხბურთის ვარჯიშის ხარისხს. ასეთ მინდორზე მაღალი უნარების მქონე ფეხბურთელი ვერასდროს ვერ ჩამოყალიბდება. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა სპორტული დარბაზების უქონლობა, რაც რამდენიმე დაკარგულ თვეს ნიშნავს.

აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად სკოლებისთვის მეტი ფინანსური მხარდაჭერაა საჭირო. უფულოდ ან იაფად რაიმე პროგრესული ცვლილების განხორციელება შეუძლებელია. როგორც ეკონომისტები ამბობენ, „უფასო სადილი არ არსებობს“

დავით ნაჭყებია
სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდი ჭყონის №1 საჯარო სკოლის დირექტორი

სასკოლო აქტივობა

ალმანახი – პატარა მწერლების პატარა კურიოზები

სკოლა-ლიცეუმს აქვს საკუთარი ჰერალდიკის ნიშნები, საკუთარი ჰიმნი, სკოლაში მუშაობს რადიოსტუდია „სხივი“, ხელოვნების წრეები, ხალხური სიმღერის და საკრავების შემსწავლელი წრე, ცეკვის ანსამბლი, ჭადრაკისა და ენების გაძღიერებულად შემსწავლელი წრეები, გამოშვებული აქვთ პერიოდული გაზეთი „სხივი“, „ჰყავთ“ თოჯინების თეატრი, იბეჭდებიან საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“, ატარებენ საქველმოქმედო აქციებს...

სხიველები განებივრებული არიან მაღალაკადემიური გამოსაშვები ღონისძიებებით, ნორჩი მსახიობები დგამენ სპექტაკლებს შესაშური ოსტატობითა და მონდომებით, ნამდვილ მსახიობებს ტოლს არ უდებენ... ყველა ამ სიკეთესთან ერთად, ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ სკოლამ გამოუშვა ლიტერატურული ალმანახი „პატარა მწერლების პატარა კურიოზები“.

IV ᵃ კლასელები 2 წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან ლამაზად გაფორმებული რვეულებით, სადაც თავმოყრილია ზღვა კლასგარეშე მასალა: გამოჩენილ ავტორთა საყვარელი ლექსები, ბრძნული გამონათქვამები, შოთას, ილიას, გურამიშვილის აფორიზმები, ანდაზები: სიკეთეზე, ცოდნაზე, დედაზე, მეგობრობაზე, ვაჟკაცობაზე, შრომაზე, ისტორიული თემატიკა „დედა ისტორიიდან“, მეფეთა ცხოვრება, კლასიკოსთა ბიოგრაფიები და ბავშვობის ეპიზოდები... ბუნებისმცოდნეობის ულამაზესი ფერადი რვეულები ოკეანეთის, კოსმოსისა და დედამიწის საინტერესო ამბებითაა სავსე – სხვადასხვა ენციკლოპედიებიდან და ინტერნეტიდან მოძიებული მასალებით... ბავშვები ეძიებენ, ფიქრობენ, ხატავენ, აფორმებენ, შემოქმედებითად აზროვნებენ და შედეგით ხარობენ. ცხადია, მათთან ერთად მშობლებიც ინტერესით არიან ჩაბმულნი მუშაობაში...

შრომის, ახლის მოძიების, ნაფიქრის ქაღალდზე საგულდაგულოდ გადმოტანის უნარების ფლობამ ნორჩ მწერლებად და პოეტებად აქცია ისინი. მათ დამრიგებელს და დიდ გულშემატკივარს, ქალბატონ **ეკა ლომთათიძეს** გაუჩნდა იდეა, ერთად აეიკინძა ბავშვების შემოქმედება და გამოეცა კრებული.

ეკას იდეები ყოველთვის ცოცხლდებიან და მზის სინათლეზე ღაღდებიან, 7 წელიწადია იგი „დედაენის“ ოლიმპიადების დახურვის ცერემონიალების წარმატებული სცენარისტი და რეჟისორია! გაუმართლათ თაობებს, რომლებიც ეკას წყალნაპკურნი არიან, ნიჭიერი და შემოქმედი პედაგოგის ღვთისნიერი ბუნება მრავლად გადაეცა მათ!

წლის ბოლოს სიურპრიზი ელოდათ მეოთხეკლასელებსა და მათ მშობლებს – ულამაზესად გაფორმებული, შესანიშნავ ყდაში ჩასმული ალმანახი – სხვადასხვა ავტორთა ლიტერატურულ ნაწარმოებთა (არაპერიოდული) კრებული.

პროექტის ავტორი – **ეკა ლომთათიძე**;
მხატვრები: **ეკა ჯანაშია, ანი ხარაშვილი, მაკა მატუაშვილი**;
კორექტორი – სტილი დაცულია;
გამომცემლობა – სკოლა-ლიცეუმი „სხივი“, 2013-2014 წწ.

წლებს შემოუნახა ეკა ლომთათიძემ პატარების ლამაზ ასოებად მოქარგული სული და ნააზრევი! წლების შემდეგ დაზრდილ-დაფრთიანებულები სკოლის კედლებში შემონახულ მათ ნაწერებს დაიგულებენ და მოესიყვარულებიან, აი, თურმე ვინ როგორი კალიგრაფიით ვწერდით, რა კურიოზები გადაგვხდა თავს და რა რუდუნებით შემოგვინახა ეს ჩვენმა საყვარელმა ეკა მასწავლებელმაო!!! რა ტკბილი მოგონებები აშრიალდება... ალბათ, ასე იწერება ჩვენი ცხოვრების ისტორია!

აღტაცებული მშობლები ათვალიერებენ საკუთარი შვილებისა და ეკა მასწავლებლის ხელოვნებას, ხმამაღლა კითხულობენ ეკასეულ დალოცვას: *„ვეფერები თქვენს პირველ გაუბედავ ნაბიჯებს, ცოდნის კართან მისულს! ვლოცავ სურვილს, წყურვილად ქცეულს სიბრძნის წყაროს დაწაფვისა. ღმერთი შეგეწავათ ჩემო პატარებო, გასწავლით, თუკი სწავლას შეიყვარებთ! ისწავლეთ, ისწავლეთ, რომ მერე სხვას ასწავლოთ, დაუმცხრალი გქონდეთ სწრაფვა ცოდნის მიტაცებისა!“.*

სურათებიდან შემოგვცინებენ თვალმახარა გოგო-ბიჭები, თან გვმასპინძლობენ თავიანთი ქმნილებებით: **დენის აფრიამაშვილი** – „ერთი დაუვიწყარი დღე“, **ნინო დვალიძე** – „დაკარგული ზაზუნა“, **მარიამ ხეცაძე** – „ზაფხულის ცხელი დღე“, **ნიკოლოზ არაბიძე** – „ფეხსაცმელი“, **დემეტრე ასპანიძე** – „ჭკვიანი ლეკვი“, **დავით არჯევანიძე** – „მე და ჩემი ჩონქარა“, **ლუკა მამულაძე** – „შეკრება პანტიანში“, **ნინო ავალიანი** – „სინოპტიკოსი თხუნელა“, **გვანცა გიგლემიანი** – „სოფელში“, **ნიკა შეყილაძე** – „პატარა მთამსვლელი“, **დიმიტრი ნაკაშიძე** – „ერთი დღე ჩემი ცხოვრებიდან“, **ფაიკა ბაირამოვი** – „კურიოზი მთაში“.

ბავშვებთან ერთად სიხარულის ცრემლებით ეთხოვებიან ეკა მასწავლებელს მათი მშობლებიც და სამადლობელ სიტყვებს არ იშურებენ – *„ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შვილის პირველი მასწავლებელი ეკა მასწავლებელია, რომელმაც ამ 4 წელიწადში, ცოდნა-განათლებასთან ერთად, უსაზღვრო სიყვარული აჩუქა ჩემს გოგონას, ისევე როგორც ყველას!“, „ჩვენს შვილებს ჭეშმარიტების, სიმართლის და სიხარულის მოსაპოვებელი უნარ-ჩვევები უსაგზლა ეკა მასწავლებელმა!“...*



სკოლის დირექტორმა **ემრულლაჰ დემირმა** მადლობა გადაუხადა მასწავლებელს ასეთი გამორჩეული და საინტერესო შრომისთვის, წარმატებები უსურვა მეოთხეკლასელებს და შეჰპირდა, რომ მათ ნაწერებს სიამოვნებით გაეცნობოდა!

ვამაყობ, რომ ეკას კოლეგა და მეგობარი ვარ. ყოველთვის მსიამოვნებდა ამ კლასში შემოსვლა, აქ მუდამ აზრიანი, შემოქმედებითი ფუსფუსი და მუშაობა იყო, მეგობრობა, კეთილგანწყობა და ღვთისნიერება სუფევდა მუდამ. გაგემართლებინოთ ეკა მასწავლებლის იმედები, იღბლიანებს გამარჯვებებით გევლოთ ამ წუთისოფელში!

ქეთევან ჭითავა

ოტია იოსელიანი – 84

2014 წლის 16 ივნისს ქართველ მწერალ ოტია იოსელიანს 84 წელი შეუსრულდებოდა... ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის (დირექტორი – **რეზო სირბილაძე**, კლასის დამრიგებელი – **ნარინი ყიფიანი**, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – **მზია ზარნაძე**) მოსწავლეებმა ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ახალი ისტორიისა და განათლების განყოფილებაში ლიტერატურული საღამო გამართეს. ბავშვებმა მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლებს, სკოლის პედაგოგებსა და მშობლებს გააცნეს სახელოვანი მწერლის მძიმე ბავშვობის წლები და ცხოვრებისეული ეპიზოდები, ყურადღება გაამახვილეს ოტიას სიტყვებზე, რომელსაც მწერალი ხშირად იმეორებდა: „მდუღარეგადასხმულ ჩემს ბიოგრაფიაში ვერც ერთი ნათელი დღე ვერ გამოვძებნე, რაც არ იყო, რას გამოვძებნიდი?”. მოსწავლეებმა საზოგადოებას გააცნეს მწერლის მრავალმხრივი და მდიდარი შემოქმედება, ამასთან ისაუბრეს მისი გარჯითა და შრომით დატვირთულ ყოველ დღეზე, რამაც მწერალს საყოველთაო აღიარება მოუტანა.

მოსწავლეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ოტიას შეგონებაზე, რითაც მწერალი აყალიბებს აზრს, თუ როგორ უნდა იშრომოს საქმის მოყვარულმა ყოველმა ადამიანმა. კერძოდ, ბავშვებმა აღნიშნეს, რომ ოტიასთან შრომა მზის სიმაღლემდეა აყვანილი. ორივე ერთად – მზეც და შრომაც – მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია დაწყებული საქმის წარმატებით დამთავრებასთან. ამ აზრის დასადასტურებლად კი მწერლის სიტყვები მოიშველიეს: *„მზეს საქმესთან უნდა დახვდე! საქმემდე თუ მზემ მიგასწრო, ვერაფერს გააკეთებ და ესე იგი დრო დაკარგე. ფულიც რომ გქონდეს, იფიქრე ილიასავით – დღეს მე ვის რა ვარგეო”.*

როგორც ცნობილია, ოტია ძალიან ბრაზობდა უნიათო, ზარმაცი ადამიანების მიმართ, შეურიგებელი იყო და კრიტიკის ქარცეცხლში ავლებდა მათ, ვინც არაფერს ქმნიდა, ვისაც ხელები შრომით არ ჰქონდა დაკოჟრილი. ოტიას ეს ხასიათი ბავშვებს, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და ისე შთამბეჭდავად წარმოაჩინეს, რომ ღონისძიების მონაწილეებს ცრემლნარევი ღიმილიც კი მოერიათ. მოსწავლეებმა საინტერესოდ გადმოგვცეს ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების შეხედულებები დიდბუნებოვანი, თავისებური ხელწერისა და განსაკუთრებულად გამორჩეული მწერლის მიმართ, წაიკითხეს ოტიას ლექსებიც, სიბრძნისა და სიმართლის მქადაგებელი გამონათქვამები და სხვ. მოსწავლეებმა ხაზგასმით აღნიშნეს ოტია იოსელიანის განსაკუთრებული დამოკიდებულება ქართული ენის მიმართ. აღნიშნულის შესახებ გულში ჩამწვდომი იყო მხატვრულ კითხვაში არაერთხელ გამარჯვებული **ავთანდილ ჭიჭინაძის** მიერ წაკითხული სტრიქონები:

„სული დედაენის გედგას,
აზრი, სიბრძნე ენამ გამცნოს,
ღმერთმა ისე დაგიფაროს,
დედამ არ გიდედინაცვლოს...
ბედი დაუნდობელია,
გაგწირავს და დაგაობლებს,
ენა კალთას დაგაფარებს,
დედაენა გისამშობლებს...
„წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
დედაენით დაიწყო და
დედაენით დამთავრდება!“

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლებმა აღფრთოვანება ვერ დამალეს: *„ბევრჯერ გვინახავს სსიპ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ძალებით ჩატარებული ღონისძიება, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ამ მოსწავლეთა ცნობიერებაში უსათუოდ დაილექება ჩვენი ღირსეული მამულიშვილების „სიბრძნეები“ და გაჰყვება მათ ცხოვრების საგზლად. ჩათვალეთ, რომ მიზანი მიღწეულია და სკოლისა და მისი პედაგოგების შრომას და გარჯას უკვალოდ არ ჩაუვლია“.*

მშობლებმა და ღონისძიების სტუმრებმა დადებითად შეაფასეს ოტია იოსელიანისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო და მადლობა გადაუხადეს სკოლას, პედაგოგებს და ბავშვებს, რომლებმაც ასე საინტერესოდ წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები.

სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის მე-7 კლასელებმა პირობა დადეს, რომ იმ ტრადიციას, რომელიც მათ დაამკვიდრეს, მომავალ წელსაც გააგრძელებენ და კიდევ ერთი ქართველი მწერლის შემოქმედებით წარდგებიან ისეთი კვალიფიციური აუდიტორიის წინაშე, როგორიც ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კოლექტივია.

მზია ზარნაძე
სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის პედაგოგი

სასკოლო აქტივობა

„პატრინოტი 2014“

წყალტუბოს №1 საჯარო სკოლაში დიდი ხანია ტრადიციად იქცა ყოველი სასწავლო წლის დასრულება ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით – „პატრინოტი“, რომლის მიზანია: მოსწავლეებში ეროვნულ-პატრიოტული გრძნობის გაძლიერება, წლის მანძილზე გაწეული საქმიანობის შეჯამება, წარმატებული პედაგოგების, მოსწავლეებისა და კლასების გამოვლენა-დაჯილდოება.

მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდება „პატრინოტი“ მუსიკალურ ბგერებთან, მშვენიერ ჰანგებთან და სამშობლოს თემაზე შექმნილ ჰარმონიულ სიმღერებთან ასოცირდება, მხოლოდ სიმღერით ნამდვილად ვერ შემოვიფარგლებოდით, რადგან ქართველი კაცისთვის ოდითგანვე სამშობლოს თემაზე შექმნილი ნებისმიერი ტიპის ნაწარმოები მრავალხმიანი გალობის ჰანგებად იღვრება გულიდან.

ღონისძიების დაწყებამდე კლასებმა წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების ამსახველი ვიდეორგოლები და ფოტოკოლაჟები წარმოადგინეს.

თემატიკიდან გამომდინარე, თითოეულ მონაწილეს გაცნობიერებული ჰქონდა დიდი პასუხისმგებლობა. მოსწავლეები ცდილობდნენ, მაქსიმალურად გამოემჟღავნებინათ საკუთარი შესაძლებლობები. მათ კიდევ ერთხელ გაიხსენეს თავიანთი ქვეყნის ისტორია, ღირსეული მამულიშვილები, რომელთა სახელებს დრომ ვერაფერი დააკლო, წარმოთქვეს „ციხე-ტაძართა საგალობელი“... იგრძნობოდა, რომ ღონისძიების უმთავრესი მიზანი – „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“, ღრმად ჰქონდა გააზრებული ყველა მოსწავლეს, რაც თითოეული ნომრის დიდი განცდითა და მოწიწებით შესრულებაში ჩანდა.

მაყურებელთა ემოციამ ზენიტს მიაღწია, როდესაც სცენაზე ჩვენი ამერიკელი მეგობარი, ინგლისური ენისა და ლიტერეტურის მასწავლებელი, **მერისა დოერთი** ავიდა და პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსი ქართულად წაიკითხა. ამ დღეს დავემშვიდობეთ მერისას, რომელიც უკვე თავის სამშობლოში ბრუნდება.

ღონისძიების შედეგი გამოიკვეთა დასკვნით ნაწილში, როდესაც სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ლაურა ჯიმშელეიშვილმა** და სასწავლო ნაწილის გამგემ, ქალბატონმა **დალი სილაგაძემ** წარმატებული კლასები, მასწავლებლები და მოსწავლეები ქების სიგელებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვეს. ეს ერთგვარი სტიმული ყველასათვის, კიდევ უფრო მეტი გააკეთონ მომავალში, გახდნენ უფრო აქტიურები.

დასასრულ, სკოლის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს: მუსიკალურ ხელმძღვანელს – **მაკა ჟორჟოლიანს**, სცენარის ავტორს – **დოდო ხაჩიძეს**, ქორეოგრაფიულ გამფორმებელს – XI კლასის მოსწავლეს **დავით მანაგაძეს**, ისტ-ის მასწავლებელს **ინგა არაბიძეს და** მომავალ სასწავლო წელს ნაყოფიერი სასწავლო-შემოქმედებითი საქმიანობა უსურვა.

დოდო ხაჩიძე
წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

პროექტი „წიგნიერება სკოლიდან იწყება“

სკოლა მოზარდთა სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეს ემსახურება, რომელშიც გადამწყვეტი როლი კითხვასა და კითხვისადმი ინტერესს, ზოგადად, წიგნიერებას ენიჭება. წიგნიერი მომავალი თაობის აღზრდა კი ის პრობლემაა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას მეტად აწუხებს. სწორედ ამ საკითხს მოიცავდა პროექტი, რომელიც ზოდის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მარინა დეკანოიძე**) განხორციელდა.

პროექტის იდეა სკოლის დირექტორს ეკუთვნოდა, ხოლო მისი განხორციელება სახელმწიფო ენის კათედრამ (ხელმძღვანელი – **ეთერ ქურცაძე**) იკისრა, რომელსაც მუშაობის პროცესში შეუერთდა დაწყებითი განათლებისა და მათემატიკის კათედრა.

მოსწავლეებმა, თავდაპირველად, იმუშავეს კვლევაზე, რომელიც აღნიშნულ პრობლემას შეეხებოდა, რაშიც გამოკითხვა და სკოლაში ჩატარებული ტესტირება დაეხმარათ. შეაგროვეს მასალები, დაწერეს თემები, დაამზადეს ბუკლეტები, მოამზადეს პრეზენტაციები. დაწყებითი კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებლები: **დარეჯან ყიფშიძე, შორენა იობაშვილი, ციური ჩინჩალაძე, რუსუდან სხირტლაძე**), მოცემულ თემაზე, მეშვიდეკლასელებთან ერთად, მოამზადეს მხატვრულ-შემოქმედებითი ღონისძიება. მოსწავლეებმა საკუთარ შემოქმედებით მასალაზე შექმნეს ხელნაკეთი წიგნი (მასწავლებელი – **ელისო მერმანიშვილი**).

პროექტი დააგვირგვინა სასკოლო კონფერენციამ, რომელშიც ადგილობრივ მოსწავლეებთან ერთად მეზობელი სოფლების სკოლების (წირქვალი, ხვაშითი, ნავარძეთი) მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. თემები წაიკითხეს: **ქეთევან ბოჭორიშვილმა, ეთერ ყიფშიძემ, ლილი მიროტაძემ, თინათინ ჯაჯანიძემ,** ხოლო **რატი ჯაჯანიძემ, ანა სხირტლაძემ, ნათია ნოზაძემ, მანანა გურულმა** საინტერესო პრეზენტაციები გამართეს. გამორჩეული იყო **თამარ სხირტლაძის** თემა მათემატიკურ წიგნიერებაზე (მასწავლებელი – **ეთერ ციცვიძე**). მონაწილეები სამახსოვრო დიპლომებითა და სიგელებით დასაჩუქრდნენ.

კონფერენციის ბოლოს მეზობელ სკოლებს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ავალდებულებს ყველა სკოლას, წელიწადში ერთხელ, წიგნიერების თემასთან დაკავშირებით, ფართომასშტაბური ღონისძიება გაიმართოს.

ამრიგად, პროექტი მეტად საინტერესო გამოდგა. გარდა იმისა, რომ მოსწავლეებმა გაითავისეს წიგნიერებასთან დაკავშირებული პრობლემები, იგი მათ დაეხმარა კვლევის, ინფორმაციის მოძიების, დახარისხების, საკუთარი აზრის საზოგადოების წინაშე წარდგენის, წერის და სხვა უნარების განვითარებაში, რასაც ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს.

ირმა ბოჭორიშვილი
ზოდის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

„ვეფხისტყაოსნის“ გაცოცხლებული გმირები

9 ივნისს, ზუგდიდის №11 საჯარო სკოლაში, X კლასის მოსწავლეებმა პროექტის „ჩვენ და ვეფხისტყაოსანი“ პრეზენტაცია გამართეს, მისი მიზანია მოსწავლეებში მხატვრული კითხვის, კვლევა- ძიების, კომუნიკაციის, შემოქმედებითი უნარების გამომუშავება. ღონისძიებაში ჩართული იყო მეათე კლასის ყველა მოსწავლე. ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ზეპირად კითხულობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ განუმეორებელ სტრიქონებს. გააცოცხლეს რამდენიმე სცენა პოემიდან: თინათინის გამეფება, ავთანდილისაგან თინათინის გაგზავნა მის ყმის საძებრად, სამთა თათბირი... მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურეს შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის როლების შემსრულებლებმა – **ლევან შანავამ** და **ეკა ბართიამ**. დარბაზი ოვაციებით ხვდებოდა თითოეულ გამომსვლელს – ასმათის, თინათინის, ავთანდილის, ტარიელისა და როსტევან მეფის გაცოცხლებულ სახეებს.

X კლასის მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გვამოგზაურეს დიდ „შოთაეთში“ და გვაგრძნობინეს პოემის შეუდარებელი სტრიქონების ხიბლი.

სკოლის დირექტორმა პროექტში აქტიური მონაწილეობისათვის სიგელებით დააჯილდოვა ღონისძიების მონაწილე მოსწავლეები და მადლობა გადაუხადა გაწეული მუშაობისათვის, ხოლო პროექტის ხელმძღვანელი, ქართული ენისა და ლიტერატუტის პედაგოგი **ნონა ვართაგავა** დაჯილდოვდა დიპლომით მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისათვის.

კონსტანტინე ჭილაია
ზუგდიდის №11 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შემსრულებელი

სპორტი

ჭაბუკთა სარეიტინგო

ლაგოდეხში ჩატარდა სარეიტინგო შეჯიბრება ე.წ. „საფესტივალო ასაკის“, ანუ 1998-99 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის, რომელმაც საინტერესო, დაძაბულ ორთაბრძოლებში ჩაიარა. ეს ნაკრები ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და მსგავსი შეჯიბრებები მისწრებაა გუნდის ჩამოსაყალიბებლად. თუმცა ფესტივალამდე ჯერ კიდევ მთელი წელიწადია და მანამდე ბევრი რამ შეიცვლება. მით უფრო, ასაკის გამო ბევრი გაისად იმ გუნდში ვერც მოხვდება. თუმცა ასეთი ტურნირები მათთვის მაინც აუცილებელია, რადგან იკვეთება სანაკრებო ბირთვი, რაც მწვრთნელებს სწორ სელექციაში ეხმარება. თან ამ ასაკის მოზარდთა უმრავლესობას არც ჭაბუკთა ეროვნულ გუნდში გამოსვლის შანსი ეძლევა, რადგან უმცროს ასაკს მიეკუთვნებიან და საშეჯიბრო პრაქტიკაც აკლიათ. ამ დეფიციტის აღმოფხვრა კი მსგავსი შეჯიბრებებითაა შესაძლებელი.

დაძაბული პაექრობების შემდეგ ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: თბილისელები – **გიორგი ნიაზაშვილი** (46), **საბა გრიგალაშვილი** (50), **ლაშა დუდაშვილი** (66), შიდა ქართლელები – **შალვა გაზაშვილი** (55), **ივანე მახათაძე** (60), **ლუკა მაისურაძე** (73), კახელი **ელდარ ჯიქიძე** (81), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის წარმომადგენელი **ონისე სანებლიძე** (90) და **საბა გაბრიჭიძე** (+90) სამეგრელო-ზემო სვანეთიდან.

უახლოეს პერიოდში ამ ასაკის ჭაბუკებს ისევ ექნებათ ანალოგიური შეჯიბრება.

მოსკოვის ჩემპიონები

1999-2000 წლებში დაბადებულმა ქართველმა მძლეოსნებმა წარმატებით იასპარეზეს მოსკოვის ღია პირველობაზე. იქ ჩვენგან რვა სპორტსმენი მონაწილეობდა და ყველა მათგანმა მედალი მოიპოვა – 8 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. განსაკუთრებული წარმატებით იასპარეზეს **ნინო წიქვაძემ**, **გიორგი კეთილაძემ** და **დავით აბესაძემ**, რომლებმაც ორ-ორ დისტანციაზე გაიმარჯვეს. წიქვაძემ გოგონებში ყველაზე შორს მოიქნია ბადრო (37.32 სმ) და ურო (46.31). კეთილაძემ შუბი (50.21) და ბირთვი (15.51) ჰკრა ყველაზე მძლავრად, ხოლო აბესაძემ 1500 (4.21.68) და 3000 მეტრზე (9.33.47) ირბინა ყველაზე სწრაფად.

ორი მედალი მოიპოვა **მაკა ჩაკაბერიამაც**, ოღონდ აქედან ერთი ვერცხლია – 100 მეტრი 15.18 წამში გაირბინა. სამაგიეროდ, უძლეველი იყო 300 მ-ზე თარჯრბენში – 46.24. ბრინჯაოს მედალი **ბადრი ქიმაძემ** მოიპოვა ბირთვის კვრაში – 15.26. ამავე სინჯის ჯილდოს **გიორგი დავითაშვილიც** დაეუფლა, რომელმაც ბადრო 41.65-ზე გაისროლა.

ჩვენი მძლეოსნების ასეთი წარმატება იმიტომაცაა საყურადღებო, რომ ეს სწორედ ის ასაკია, რომელმაც გაისად თბილისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე უნდა იასპარეზოს. ამიტომაც გუნდს ფედერაციასთან ერთად დიდი დახმარება საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმაც გაუწია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მის მომზადებასა და მოსკოვში გამგზავრებაში.

ახალგაზრდული ტრიუმფი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა ქართველი მოჭიდავეები ტრიუმფით გამოვიდნენ პოლონურ კატოვიცეში ევროპის თანატოლთა ჩემპიონატში. ამ გუნდებს წარმატება არც წინა წლებში აკლდათ, ბევრი კარგი სპორტსმენიც გაუზრდიათ ეროვნული ნაკრებებისთვის, მაგრამ ასეთი მასშტაბური წარმატება აქამდე არ ჰქონიათ. თავად განსაჯეთ – 8-8 კაციდან თავისუფალი სტილით მოჭიდავეებში 5 ფინალში გავიდა, მეექვსემ კი ბრინჯაოსთვის იჭიდავა, ხოლო ბერძენ-რომაელთაგან 7-მა იასპარეზა ჯილდოსთვის და 6-მა მოიპოვა. „თავისუფლებმა“ 3 ოქრო და 2 ვერცხლი მოიპოვეს, ბერძენ-რომაელებმა – 2 ოქრო და 4 ბრინჯაო. გუნდურ ჩათვლაში ორივე ნაკრები მეორეზე გავიდა. „თავისუფალთაგან“ ჩემპიონები ქუთაისელი **ომარ გურჯიძე** (66), ყაზბეგელი **ტარზან მაისურაძე** (74) და გორელი **გენო პეტრიაშვილი** (120) გახდნენ, ვერცხლს კი ქუთაისელი **გიორგი ბრეგაძე** (60) და თბილისელი **გიორგი ჩხარტიშვილი** (84) დაეუფლნენ. ბერძენ-რომაელთაგან ოქროს მედლები ბათუმელმა **გელა ბოლქვაძემ** (74) და თბილისელმა **ბექა კანდელაკმა** (120) მოიპოვეს, მესამე ადგილზე კი ასევე ბათუმელები – **გიზო მელაძე** (55), **შმაგი ბოლქვაძე** (66), **ლაშა გობაძე** (84) და დედაქალაქელი **კუკური კირცხალია** (96) გავიდნენ.

ამ ახალგაზრდების უმეტესობა ჯერ ისევ სკოლის მოსწავლეა, ანუ მათ კიდევ დარჩათ ამ გუნდში საჭიდაოდ რამდენიმე წელიწადი. „თავისუფალთაგან“ განსაკუთრებით ძლიერად იჭიდავეს მაისურაძემ და პეტრიაშვილმა. გორელი ფალავანი უკვე წლებია, ამ ასაკში ფავორიტად მიიჩნევა, რასაც სრულად ამართლებს – შარშან ევროპაც მოიგო და მსოფლიოც, თუმცა ის არა მხოლოდ ახალგაზრდული ნაკრების, არამედ ეროვნულის ერთ-ერთი ლიდერიცაა – შარშანვე ევროპა-მსოფლიოზე ბრინჯაოს მედლები უფროსებშიც მოიპოვა. ამდენად, მისი გამარჯვება მოსალოდნელიც იყო. მეტიც – მეტოქეები უკვე მარცხს შეგუებულნი გადიან მასთან საჭიდაოდ. პეტრიაშვილმა კატოვიცეში ისე გაიმარჯვა, ქულაც არ დაუკარგავს. თანაც, ყველა მეტოქეს აშკარა უპირატესობით, ვადამდე და ქულებით წმინდად მოუგო. ერთი სიტყვით, ის რამდენიმე თავით მაღლა იდგა თანატოლებზე და დიდი შანსია, ვერც მსოფლიოზე გაუწიოს ვინმემ ოდნავი წინააღმდეგობაც კი. გასაკვირი არცაა, კატოვიცეში პეტრიაშვილის გამარჯვებას ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ საგანგებო წერილი რომ მიუძღვნა.

მაისურაძე და გურჯიძე ერთად მოდიან ჭაბუკთა ნაკრებიდან და საინტერესოა, რომ 2012 წელს იმავე კატოვიცეში 17-წლამდელებში ერთად მოიპოვეს ევროპის პირველობის ბრინჯაოს მედლები. ისინი ძირითადად ამ სეზონში გამოჩნდნენ ამ ასაკობრივ ნაკრებში. მაისურაძეც ისე მივიდა ფინალამდე, ქულა არ დაუკარგავს, გურჯიძემ კი ფინალში 1:5 ჩამორჩენა აღმოფხვრა.

ბერძენ-რომაელთაგან ყველაზე მეტად, ცხადია, ჩემპიონები გამოირჩნენ, თუმცა ბრინჯაოს მედალოსანთაგან – გობაძისა და კირცხალიასგან – მეტს მოველოდით. ისინი ამავე რანგის შეჯიბრებაზე შარშანაც მესამეზე გავიდნენ და უკვე დიდი გამოცდილება დაუგროვდათ. მისასალმებელია, რომ მძიმე წონიდან **იაკობ ქაჯაიას** გადასვლამ (მან დაასრულა ახალგაზრდებში ასპარეზობა) ამ წონას ვერაფერი დააკლო და წლეულს ისევ ოქრო მოვიპოვეთ – პეტრიაშვილის არ იყოს, კანდელაკიც მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე და მანაც ყველა ორთაბრძოლა ვადამდე, სუფთად მოიგო.



გენო პეტრიაშვილი

ახალგაზრდების ასეთი კარგი გამოსვლა და მაღალი დონის ჭიდაობა შესანიშნავი რეზერვია ეროვნული ნაკრებისთვის, რომელსაც მართლაც საიმედო ცვლა ეზრდება. ამ თაობიდან უმეტესობა უკვე შედის ქვეყნის მთავარ გუნდში, ზოგს სექტემბერში უფროსთა მსოფლიოს პირველობაზეც ვიხილავთ, ხოლო ბევრი 2016 წელს რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზეც მოხვდება.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

- ♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- ♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- ♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- ♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საქანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. ძველი რომი
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. რეპტილიები და დინოზავრები
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
16. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

ქართველი მწერლები

- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
- ❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) I-VII ტომი – 11 ლარი
- ❖ ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
- ❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
- ❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
- ❖ ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, IV, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. იაკობ ხუცესი
12. იოანე საბანისძე
13. დავით გურამიშვილი
14. ბესიკი
15. რევაზ ინანიშვილი
16. ალექსანდრე ჭავჭავაძე
17. თეიმურაზ I
18. ვახტანგ VI
19. გიორგი მერჩულე
20. გრიგოლ ორბელიანი
21. დავით ალმასშენებელი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკა"

- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი** ახალი
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე** ახალი
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**



თითო ტომის ფასი – 12 ლარი

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაძირული ქალაქები
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება",
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი", ბ/კ LBRTGE22

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან
ინტელექტი სკოლას

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

ქიმია

საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

ქიმია

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ქიმია

დამხმარე სახელმძღვანელო უფროსკლასელებისა და აბიტურიენტებისათვის
ჟ. პეტრიაშვილი,
ნ. მაისურაძე
ფასი – 4 ლარი

ბიოლოგია

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ფიზიკა

საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

გეოგრაფია

საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ისტორია

საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ისტორია

ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა

ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

დიოგენე

„დიოგენე" გამომცემლობა

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK